



№ 3

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 3

რედაქცია და კანტორა

ტფილისი, პლენარის პროსპექტი, სასტუმრო „ნოე“ ოთახი № 71.

ფასი 1,000,000 მანეთი ამიერ-კავ. ბონებზე.

რედაქცია და კანტორა

ლიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა ვილას მ ს. შუაგ. მ ს. დ.

მჭიდროთ.

ჩვენი რიგებიდან კომუნისტურ პარტიის რიგებში ფაქტიური გადასვლა უკვე დაიწყო. ლოლიკური დასკვნა ჩვენი კონფერენციების და ყრილობისა იყო და არის კომპარტიისთან გაერთიანება, კომპარტიის რიგების გამაგრება, კომპარტიის მებრძოლ რაზმებში ჩამყვრევება.

რითი გადავიდვართ ჩვენ კომუნისტურ პარტიაში, რა მიგვაქვს იქ, რა „ინფენტარით“ შევდივართ ამ პარტიაში?

უპირველეს ყოვლისა ჩვენ მივდივართ იქ დიდი რევოლუციონური სტაფით.

დიდი ნაწილს ყოფილ მენშევიკებისა, რომლებიც დღეს გადადიან კომპარტიის რიგებში, თავიანთ რევოლუციონურ მოღვაწეობას ითვლიან ათეული წლობით. მათ გავლილი აქვთ რევოლუციონური ბრძოლის ცეცხლი, გაკაყებული არიან ამ ბრძოლაში, შეზრდილი არიან რევოლუციონისთან და მოკვდებიან რევოლუციონისთვის.

შევსის კატორღა, ციმბირი, ციხეები, ბნელი საკანი, — აი ის დიდი სკოლა, რაც გავლილი აქვთ ჩვენს ამხანაგებს, სადაც მათ მიიღეს რევოლუციონური გამოწრთობა, რევოლუციონის დარჯჯაში გაკაყება.

გარდა ამისა ჩვენ მივდივართ იქ ოპორტუნისმიზან სრულიად განკურნებული.

თუ წინეთ ჩვენში ქონდა ადგილი მერყეობას, თუ წინეთ ძნელი იყო „დემოკრატიული გზიდან“ ჩამოშორება, ძველი ილიუზებიდან თავის დასწევა, დღეს გადაჭრით გამოწრული ვართ ამ გზიდან და სრულიად განკურნებული ვართ ძველი სენიდან.

ჩვენ ეს სენი სამუდამოთ მოვიხადეთ და უნდა იცოდეს ყველამ, რომ მომავალში ეს სენი ყოველ შემთხვევაში ჩვენ აღარ შეგვეყრება.

ჩვენ მივდივართ იქ აღრვევ შოვინისმიზან სრულიად განკურნებული. ეს ავადმყოფობაც მოვიხსენით ჩვენ. რა სარგებლობა მოგვითანა ამ ავადმყოფობამ, ჩვენ დავინახეთ აშკარათ იმ მწარე ვაკეეთილებიდან, რომლის კრილობები დიდხანს ვერ მოშუშდება ჩვენი ქვეყნის სხეულისგან.

ეს სენი მომავალში ჩვენ ვეღარ შეგვეყრება. ვიმეცადინებთ, რომ ამ საშინელი სენისგან სხევიც განიკურნონ.

კომუნისტურ პარტიაში ჩვენ თან მიგვაქვს აგრეთვე დიდი გამოცდილება თუ რა საშინელი შედეგის მოყვება თურმე სულ უბრალო განხეთქილებას.

მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის ატეხილი დავა პარტიის მეორე ყრილობაზე არ იყო ისე ღრმა, როგორც დღეს. ძველი უთანხმოება ბოლოს იქცა საშინელ უფსკრულად. ჩვენი თვლით დავინახეთ, თუ სანამდის მიგვიყვანა ამ განხეთქილებამ. ამიტომ კომუნისტურ პარტიაში ჩვენ შევდივართ სრული შეგნებით, რომ ყოველივე განხეთქილებას, ყოველივე ტენდენციებს განხეთქილებისკენ, თუ ამას შევამჩნევთ, ვებრძოლოთ სასტიკად. პარტიის სიმაგრე პარტიის მთლიანობაშია. და ამ შეგნებით ჩვენ მივდივართ კომუნისტურ პარტიაში.

კომუნისტურ პარტიაში ჩვენ შევდივართ დისციპლინის საჭიროების სრული შეთვისებითაც.

პარტიის წევრი — ჯარისკაცია. როგორც სამხედრო საქმეში, ისე პარტიაშიაც რევოლუციონის ჯარისკაცს უნდა ძვალ-რბილში ჰქონდეს გამჯდარი დისციპლინა.

ჩვენ გვქონდა დისციპლინა. შეიძლება ჩვენი წინანდელი დისციპლინა არ იყო ისე მაგარი, როგორც კომუნისტური პარტიის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს დისციპლინა არსებობდა.

და. ამ დისციპლინით აიხსნება თუნდაც ეს, რომ ხშირად ვემორჩილებოდით პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა ისეთ დადგენილებებს, რომლებსაც ხშირად გულში არც კი თანავფერძნობდით.

მაგრამ, რაც უმთავრესია, კომუნისტურ პარტიაში ჩვენ შევდივართ სრულიად დამუშენებული იმაში, რომ ეს პარტია არის ერთად ერთი მუშათა პარტია.

ამაში სრულიად დავრწმუნდით. რევოლუციონის ვაკეეთილებმა უბრალოთ არ ჩაიარენ ჩვენთვის. თუ წინეთ, რევოლუციონამდე ჩვენი დავა იყო თეორეტიული, რაშიაც მუშები ნაკლებად ერკვეოდნენ, რევოლუციონის პროცესში, პრაქტიკაში ჩვენ აშკარად დავრწმუნდით თუ რომელი ხაზი უფრო სწორი იყო.

მარქსისტები ვუბრუნდებით სწორ მარქსისტულ გზას, რომელსაც რევოლუციონის პროცესში გადავცდით.

აი ის დიდი ტვირთი, ის განძი, რომლითაც ჩვენ მივდივართ კომუნისტურ პარტიაში.

მართალია, 12 ათასი კაცი ერთბაშად ვერ შევა ამ პარტიაში. ეს ტენიურადაც შეუძლებელია.

ჩვენი სრული გაერთიანების პროცესი, ჩვენი სრული დარაზნება კომპარტიის რიგებში თხოლომს დროს, მუშაობას, დიდ ენერჯიას.

მაგრამ ეს პროცესი უნდა შეურყეველად მიდიოდეს, ამ პროცესის ერთი წამითაც შეწყრება შეუძლებელია.

ყოფილი მენშევიკები, რომლებიც მტკიცეთ დგანან ჩვენი უკანასკნელი ყრილობის პლატფორმაზე, უნდა მკვიდროთ დაიბაზონ კომპარტიის ორგანოებთან, შეედღღონ მათ, ერთი წამითაც არ უნდა დაშორდნენ ამ ორგანიზაციებს.

მოუხედავათ იმისა, ვართ თუ არა პარტიაში მიღებული, თვითოეული ჩვენგანი უნდა გრძნობდეს.

დღეს, რომ კომუნისტური პარტია—ეს მისი პარტიაა. თუ დღეს ის არაა ამ პარტიის წევრი, ხვალ აუცილებლად იქნება.

პროცესი ყოფილ მენშევიკების პარტიაში მიღებისა და წყვეტილია. ის გრძელდება. არ ეიცობ როდის დამთავრდება. მაგრამ ეს ჩვენ არ გვიწოდის ხელს ჩვენს თავს დღესვე ვუწოდოთ კომუნისტი, ვიცვებთ საქმით კომუნისტი, ხელი შევუწყობთ ცხოვრებაში კომუნისტური პარტიის დადგენილებათა გატარებას, ახლო მოწინააღმდეგეობა მივიღოთ პარტიის ყველა კომპანიებში. მკიდრით დავიარაღოთ კომუნისტებისა და პარტიკომების ირგვლივ და ჩვენი მუშაობით, ჩვენი ენერჯით, საქმის ხიჯარულით და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში საქმიანობით არაფრით არ ჩამოვგრჩეთ კომუნისტურ პარტიის წევრებს.

თუ წარსულს მოვიგონებთ, ბოლშევიკები ჩვენთვის უცხო ხალხი არ იყვნენ. ჩვენში ხშირად ძნელი გამოასარკვევი იყო: სად იწყობოდა ბოლშევიზმი და თავდებოდა მენშევიზმი. 1906, 1907, და 1908 წლებში სოციალ დემოკრატი მუშა ძნელად თუ გვიპასუხებდა რომელ ფრაქციას ეკუთვნის ის—ბოლშევიკებს თუ მენშევიკებს. ჩვენი მუშები ერთნაირად ეხმარებოდნენ ძველად როგორც მენშევიკურ, ისე ბოლშევიკურ გაზეთებს და ორგანიზაციებს.

დამოკიდებულება გამწვავდა მხოლოდ უკანასკნელ წლებში.

მაგრამ დღეს ჩვენ უკვე გადავლახეთ ჩვენსა და ბოლშევიკებს შუა გათხრილი უფსკრული, გაიღო მტკიცე ხიდი ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის და ამ ხიდზე სრული შეგნებით, რომ ისტორიამ გაამართლა ბოლშევიზმი, ვდგამთ ფეხს და მტკიცე რწმენით გადავიდევართ კომუნისტურ პარტიაში.

ის, ვინც შეიგნო ამ ხიდის საქაროება და მტკიცეთ სდგას ჩვენი უქანასკნელი ყრილობის პლატფორმაზე, მოვალეა თავისი სინდისის წინაშე—მისცეს განცხადება პარტიის ადგილობრივ ორგანოებს პარტიაში მიღების შესახებ.

მაგრამ ეს ფორმალური, იურიდიული მხარეა. ჩვენ უფრო გვაინტერესებს ფაქტობრივი მხარე—მტკიცეთ დარაზმვა კომპარტიის დროშის ქვეშ და მთელი ჩვენი გამოცდილების, ენერჯის, შეგნების და ცოდნის გამოყენება კომუნისტური პარტიის გასამარტებლად და საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლათ.

ლის გადასინჯვა და ახალი პოლიტიკური გეზის აღება.

და ეს მოხდა 25—30 აგვისტოს სრულიად საქართველოს მენშევიკთა ყრილობაზე. ამ ყრილობამ ფორმალური სახე მისცა იმას, რაც სინამდვილეში ფაქტობრივად უკვე არსებობდა.

12 ათასმა, მუშა და გლეხმა აშკარად და გაბედულად, მთელი ქვეყნის გასაგონად აღიარა, რომ კლასიური თვითშენახვის ინსტინქტი უკარნახებს მას იყოს ის, სადაც მუშათა საქმე კეთდება, იყოს მათთან, ვინც ებრძვის საერთაშორისო რეაქციას, ე. ი. იყოს კომპარტიასთან მე III-მე კომინტერნის დროშის ქვეშ.

12 ათასმა მუშამ და გლეხმა მთელ რიგ დეკლარაციებში და რეზოლუციებში აღიარა, რომ მისი სურვილია რევოლუციასთან ყოფნა და რევოლუციის სასარგებლოდ მუშაობა.

ახალი პოლიტიკური გეზის მიღებიდან ლოკურად გამომდინარეობდა სოც.-დემოკრატიული პარტიის გაუქმებულად გამოცხადება.

სოც.-დემოკრატიის აკტივმა, მისმა შინაარსმა უყოყმანოდ სრული შეგნებით და პასუხისმგებლობის გრძნობით ეს პარტია გააუქმა და მით უფლებმა წაართვა ყველას, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის (ჯგუფი იქნებოდა თუ პიროვნება) ამ პარტიის სახელით ელაპარაკა.

მაგრამ „სამოზვანტურმა“ მენშევიკურმა „ცეკამ“, რომელსაც არავინ არ მისდევს გარდა ვაჭრებისა, სპეკულიანტებისა, და ორიოდე გზაბანულ, მოხეტიალე ინტელიგენტისა,—არ ისინია მუშების და გლეხების სიტყვა და კვლავ განაგრძობ კონტრ-რევოლუციის სამსახურს...

მან „ცეკამ“ 12 ათასი მუშა და გლეხი ქვეყნის მოლაღატედ გამოაცხადა და ისეთი „შინაარსნი“ წერილები დაესტამბა თავის არალეგარულ ორგანოში, თითქოს არაფერი მომხდარიყო, პარტიიდან წასულიყვნენ მხოლოდ მოლაღატენი და ჩეკის აგენტები. (იხილე „ჩვენი ერთობის“ მე-9 და მე-10 ნომერი).

მაგრამ დღეს ყველამ, საქართველოში მცხოვრებმა, იცის თუ ვინ არის ის 12 ათასი მუშა და გლეხი. დღეს ყველამ იცის, რომ „სამოზვანტური“ ცეკას არავინ არ შერჩენია მუშა-გლეხობიდან და ის წარმოადგენს უჯარო გენერალს.

იმ საბუთებიდან, რომელიც უნახეს დაპატიმრებულ „ცეკას“ წევრებს: ფრანსუა-ხომერიკს და ს. დედარიანს, და რომელიც გაზეთებში გამოქვეყნდა, ყველასათვის აშკარა ხდება, თუ ვინ არის ჩვენი ქვეყნის და მუშათა კლასის მოლაღატე:

12 ათასი მუშა და გლეხი, თუ ისინი, ვინც ამ მუშა და გლეხთა საქმის დასასამარტებლად „პოლონეთის დემონსტრაციას“ უტყდიდა და კონტრრევოლუციონურ აჯანყებისათვის ემზადებოდა ანტარქის დანახარებით.

ერთხელ კიდევ აშკარად და ნათლად დამტკიცდა ის, რასაც ამდენი ხანია ჩვენ ვლაპარაკობთ და ვამტკიცებთ.

ჩვენის აზრით მენშევიკური პარტიისგან დარჩენილი ნამსხვრევების დაპატიმრებით სრულდება ის პროცესი პარტიის ლიკვიდაციისა, რომელიც 1923 წლის დასაწყისიდან დაიწყო და ფორმალური გამოხატულება 25—30 აგვისტოს მიიღო.

ახლა მუშათა კლასის საშეღება ეძლევა პასუხი მოსთხოვის იმათ, ვინც მათ ატყულებდა, მათი ნდობით ბოროტად სარგებლობდა, და საბედისწერო ნაბიჯების გადადგმისაკენ მოუწოდებდა.

დღეს ყველამ გაიგო, ყველა მიხვდა, თუ რა საშეღებით და მეთოდით ებრძვიან კონტრ-რევოლუციონურ ბანაკში მოყოლილი „სოციალისტები“ მუშურ-გლეხურ მთავრობას.

გ. ვ—იანი.

### თავისუფალი ფიქრები.

III.

რა ვაკეთოთ?

ჩვენ დავინახეთ, რომ თანამედროვე პირობებში არ არსებობს ეგრედ წოდებული „მუხე“ გზა. ის, ვინც სცდილობს მაინც წაებლათუქოს ამ უნიდავო ფორმულას, ობიექტიურად აკეთებს ბურჟუაზიის საქმეს, ვინაიდან ამით კლავს მუშა კლასის რევოლუციონურ ენერჯიას და ანელებს კლასთა ბრძოლას.

ერთადერთი გზა ყოველი პარტიისათვის რევოლუციონერისათვის, რომელიც ორგანიზულად დაკავშირებულია მშრომელ რევოლუციონურ მასსათან, დღევანდელ პირობებში მხოლოდ გადაჭრით რევოლუციასთან მისვლის გზა არის.

ვინც ამ გზას გაურბის, ვინც გულცივად აცხადებს, „არც აქით არც იქით“—ო, ის არსებითად, როგორც ვსთქვით, კონტრ-რევოლუციის ემსახურება—და მტერია მუშათა კლასის და რევოლუციის.

მუშათა კლასს არ ეშინია პირდაპირი მტერის—მას შესწევს ძალღონე გაუსწორდეს თავის მოპირდაპირს პირდაპირ ბრძოლაში, ასეთი პირდაპირი მტრები მისთვის გაცილებით იოლი დასაძლევია, ხოლო ჩუმი, შემპარავი მტერი საშინელი და ყველაზე ძლიერი მტერია მისი.

რატომ?

მიიტომ, რომ ის კისრულობს თითქოს მუშათა კლასის ინტერესებისათვის ბრძოლას, იმალება მაღალი ფრაზების უკან; მუშათა სახელით მის მოწინააღმდეგეთა საქმეს აკეთებს. მიიტომ, რომ ხშირად მასსა ჰყვება ხოლმე მას, ტყუვდება და საკუთარი ხელით იბოკავს ხელ-ფეხს, კლანჭებში უფარდება კლასიურ მტერს. მიიტომ, რომ იმასთან ბრძოლა გაცილებით ძნელია, ვინაიდან ის მუშათა კლასის და რევოლუციის სახელით გამოდის და ლაპარაკობს, მასსა თვალს უხევეს, პირდაპირ დანიშნულებას აცდენს.

მეორე. განა ყველა ისინი, ვინც პოლიტიკაში აღარ ერევა, ვინც აცხადებს, რომ ამიერიდან თავისთვის იქნება და „არც აქით—არც იქით“ ფორმულის მიმდევარი ხდება, განა ისინი ასეთივე ჩუმი მტრები?

დაებადება მკითხველს კითხვა. რასაკვირველია, ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, რომ ვინც გულახდილად დანებებს თავს პოლიტიკურ მუშაობას, ის ჩუმი მტერთა ბანაკში მოექცევა, არა, მაგრამ ის მაინც ზიანს აყენებს საერთო საქმეს. ჯერ ერთი ის, რომ მრავალი წლების განმავლობაში პოლიტიკურ ბრძოლას შეჩვე-

### მუშათა კლასი კასპის ითხოვს.

დიდი ხანი არის, რაც მენშევიკურ პარტიაში ყველაფერი არ იყო რიგზე.

აქ აღგოლი ჰქონდა დიდ აზრთა სხვა და სხვაობას და წინააღმდეგობას.

„დემოკრატიზმის“ დამყარებამ და „დემოკრატიული“ მთავრობის სამი წლის ბატონობამ ეს აზრთა სხვა და სხვაობა უაღრესად გააღრმავა.

ამას თან დაემატა კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა, მისი აღმშენებლობითი მუშაობა და პრაქტიკა.

ყველა ამის შემდეგ შეუქმლებელი იყო ძველი მდგომარეობის დატოვება. საქარო იყო ძვე-

ულ კაცისათვის ძნელია „ყოველგვარ“ პოლიტიკის გარეშე დადგომა, მაგრამ მივიჩნით რომ ეს ასეა—ვისთვის, რომელიმე პიროვნება დადგა პოლიტიკის გარეშე.

განა ამით მას ზიანი არ მოაქვს, განა ის თავის საქციელით ერთგვარ დეზორგანიზაციას არ ახდენს, გულს არ უტრუებს სხვა მებრძოლებსაც?

რა იქნებოდა, ვსთქვათ, რომ ყველა მებრძოლ რევოლუციონერს გამოეცხადებოდა ერთ მშვენიერ დღეს, რომ ისინი დაიღალა და აღარ შეუძლიანთ მუშაობა, რომ ისინიც შეიქნენ „არც იქით არც აქეთ“ ფორმულის მიმდევრები?

და ბოლოს ხელსაყრელია თუ არა ეს მუშათა კლასის მტრებისათვის?

ხელსაყრელია თუ არა მათთვის, ვინც ყოველ წუთში სცილობს რაიმე ზიანი მიაყენოს მუშათა რიგებს, გამოსტაცოს მას თუნდაც ერთი მებრძოლი მაინც.

განზე ვაღვდომით, პილატესავით ხელის დაბანით ასუტუტებენ თუ არა ისინი რევოლუციონერ რაზმებს, და მაშასადამე, მოწინააღმდეგე ძალას აძლიერებენ.

ვინც გულწრფელად ჩაუყვირდება ამას, ის დამთავანებება, რომ არსებითად ყველა ისინი, ვინც სცილობს გაიმჯობრეს რევოლუციისაგან, პროლეტარიატის მტერთა ბანაკს აძლიერებს და ამრიგად მტერი ხდება თვითონაც მშრომელი მასის. მაშასადამე, ყველა გულწრფელმა რევოლუციონერმა ერთი რამ უნდა შეიფაროს—რევოლუციის ინტერესები, მშრომელთა ინტერესები მოითხოვს დღეს მისგან რევოლუციონერ რიგებში ყოფნას, და თუ ის გაუბრუნებს ამას, კონტრევოლუციას ემსახურება.

მან უნდა შეიგნოს, რომ სჯობია ხელ ადებით ვადასვლა მოწინააღმდეგე ბანაკში, ვიდრე შუაზე ქანაობა ან და ძახილი:

„მე არც აქით ვარ, არც იქით ვარ, ორთავეს თვალყურს ვადევნებ“-ო. ასეთი განცხადებით ის უსათუოდ კონტრევოლუციონერ საქმეს აკეთებს.

დღის ლოზუნგით გადაქცეულია ყველა ცოცხალი რევოლუციონერი ძალების გაერთიანება და ამისთვის ბევრი რამეები უნდა დაითმოს. მაგრამ აქ იბადება ერთი კითხვა. არის თუ არა მუშათა კლასის მტერი ყველა ის, ვინც ამ პარტიის რიგების გარეშე სდგას, მაგრამ სიტყვით, საქმით მასთან არის და აკეთებს რევოლუციის საქმეს ისევე გულმოდგანებით, ზოგჯერ შეიძლება გაცილებით მეტი ენერჯით და ნაყოფიერებით, ვინც პარტიის რომელიმე წევრი.

რასაკვირველია, სასურველია, რომ ყველა ასეთები გაერთიანებული იყვნენ კომუნისტური პარტიის რიგებში, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში ეს მოუხერხებელი ხდება სხვა და სხვა მიზეზების გამო.

მაგალითად, ჩვენ შევიძლია ვსთქვათ, რომ კომუნისტურ პარტიაში ვერ შევა ყველა 12 ათასი ყოფილი მენშევიკი. ამაზე საქმათი გარკვეულათ სთქვა ყრილობაზე ამხ მამია ორახელაშვილმა. ბევრი მათგანი დარჩება პარტიის გარეშე, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი რევოლუციას სცილებდნენ, მოწინა-

აღმდეგეთა ბანაკში სდგებიან. რევოლუციის სასარგებლოთ მუშაობა პარტიის რიგებს გარეშე შეიძლება, და საქმათი ნაყოფიერად. საქმითა აქ მხოლოდ ერთი პირობა: უკუგდება „ძახილის არც იქით არც აქით“-ის, თქმა, რომ მუშათა კლასის ინტერესები ემსახურები და გაკეთება იმის, რასაც მოითხოვს მუშათა ინტერესები **ხიჯვითაც და საქმითაც.**

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თან და თან ყველა გულწრფელი რევოლუციონერი, მედვარი დამცველი მუშათა კლასის წითელი დროშისა, დადგება კომუნისტური პარტიის რიგებში, ხოლო ჯერ ჯერობით მის გარეშე მყოფი რევოლუციონერი ენერჯია უნდა იქნეს გამოყენებული მთლიანათ. ჩვენს ქვეყანას, მრავლათ ესაქიროება ერთგული და თავდადებული მუშაკები.

მშრომელთა სახელმწიფოს შენების პროცესში მუშათა კლასის ინტერესების დამცველის გამოყენება ყოველთვის შეიძლება, და გულწრფელი რევოლუციონერიც მუდამ მიაგნებს თავის საქმეს. 12 ათასი მუშა და გლეხი, რომელიც ერთხელ და საბოლოოთ შედგა ახალ გზაზე, უშუალოდ უნდა ჩაებას ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში.

ამისათვის არ არის საქმით უსათუოდ კომუნისტურ პარტიაში შესვლა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვადავიდდეს ახანაგების დარაზმა კომუნისტურ დროშის ქვეშ, რომ შესაფერისი მომზადება და გაწრთვება მიეცეს, საქმითა ზოგი ერთი ზომების მიღება. ყველამ ვიცით, რომ მრავალი 12 ათასთაგანი ინსტიტუტურად გაექანა ახალი გზისაკენ, დაინახა რა რომ ეს გზა უკეთ შეეფერება მის ინტერესებს. ყველამ ვიცით, რომ მრავალი მათგანი მოკლებულია ელემენტარ პოლიტიკურ ცოდნას და განვითარებას. თუ კომუნისტური პარტიის რიგებში (თფილისის ორგანიზაციებში) საშუალოდ პოლიტიკურ უცოდინართა რაოდენობა 50% აღემატება, მიუხედავად იმისა, რომ პარტიის წევრთა შორის ინტენსიური მუშაობა სწარმოებდა ამ მხრივ, რაღა უნდა ვიფიქროთ იმ მისსაზე, რომელიც ასეთ მშრუნველობასაც მოკლებული იყო?

რა თქმა უნდა პოლიტიკურ უცოდინართა პროცენტი მათში გაცილებით მეტი იქნება და ამიტომაც მეტი ენერჯია დასჯირდება უცოდინარობის ლიკვიდაციას.

ჩვენის აზრით ამ დიდი საქმის ინიციატივა და ხელმძღვანელობა უნდა იკისროს ცეკასთან არსებულმა კომისიამ და მისმა ორგანომ. რასაკვირველია, ჩვენ ვერ განვიხილავთ ამის დეტალებს, ამ ფრიად საყურადღებო საქმის ორგანიზაციას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ უსათუოდ უნდა აღრიცხულ იქნეს ყველა ადგილობრივი ახალ გზაზე შემდგარი ახანაგები, უნდა შედგენილ იქნას მათგან წრეები და დაიწყოს სისტემატიური მუშაობა ამ მიმართულებით.

ამრიგად მკიდრო კავშირი არსებულ ხელისუფლებასთან და ხელისუფლების მატარებელ პარტიასთან.

განმტკიცება მუშათა მთლიანი ფრონტის, რომელსაც ჩვენ მივალწიეთ აქ, საქართველოს სინამდვილეში, ახალი გზის არჩევით.

თავდადებული და ენერჯიული მუშაობა მუშათა ხელისუფლების განსტკიცებისათვის, ლიკვიდაცია პოლიტიკურ უცოდინარობის ყოფილ მენშევიკური პარტიის წევრთა შორის.

სხვა და სხვა მიზეზების გამო პარტიის გარეშე დარჩენილ ახანაგების უშუალოდ ჩაბმა საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში, აი უშუაურესი ამოცანები, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას დღეს მთელი თავისი სიმწვავეით.

აი პირველხარისხოვანი ამოცანა, რომელთა ცხოვრებაში გატარება უნდა იკისროს ყოველმა შეგნებულმა რევოლუციონერმა მოუხედავით იმისა იქნება თუ არა ის კომპარტიის რიგებში.

## კლასისაჲნ ახანაგებო.

ეს მუდამ ასე იყო და დღესაც ასე არის: ბურჟუაზია პარტიოტულ გრძობებზე თამაშობს რომ მუშათა კლასი შეარყიოს, დაასუსტოს.

სანამ ეს თამაში პარლამენტებში და ვაჭრების ფურცლებზეა, აქ საშინო არა არის რა. მაგრამ როდესაც ამ თამაშის მიერ გატყეული თამასუქები ნაღვლებმა პროლეტარიატის ბრძოლის დროს მისი მოსისხლე მტრებთან, ამას უნდა სათანადო ყურადღება მიექცეს და პროლეტარიატის ერთ-ერთმა რაზმმა იერიში აქეთ-კენ მიიტანოს, ეს არ იქნება მარტო სტრატეგიული მოსახრება, ამას მუშათა კლასს მისი რეალური ინტერესები უპარანახებენ.

ჩვენს საქართველოში ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. რასაკვირველია, ჩვენ არ ვფიქრობთ პარტიოტობის მოთამაშეებს სახარება ვუკითხოთ,—ეს მგლის თავზე სახარების წაკითხვა იქნებოდა,—არა, ჩვენ სახეში გვეყრის ხოლო ჩვენი ახანაგები, რომელნიც კლასსა და ეგვრთ წოდებულ „ეროვნული ფრონტის“ შუა ქანაობენ. ჩვენ ერთი ასეთი ახანაგი გვიჩვენია ყოველის მხრით ასსა და ათას იმთაგანს, ვინც სოციალურათ ჩვენი შეფორებელი მტერია, ვისაც წარსული მდგომარეობა უპარანახებს გვებრძოლოს, წაგვაქციოს.

ჩვენთვის ცხადია და ამ ახანაგებისთვისაც არ შეიძლება არ იყოს ცხადი ის, რომ დღეს „ან“-ის დრო არ არის. საბოლოოთ დარაზმულია ორი ძალა: ფაშიზმი და პროლეტარიატი. ბრძოლა უკვე სწარმოებს მათ შორის. კითხვის გარშემო ორი აზრი არ ვეპაქვს. ორი აზრი, არა აქეთ 25 აგვისტოს გარეშე მდგომ ახანაგებსაც, მაგრამ ორი პასუხი კი აქეთ: ან სულ განზე, ან, დაგვაცადე მოვიფიქრებთო.

ეს „დაგვაცას“ პოლიტიკა ნაციონალური საკითხის შედეგია. საქმითა ამისი ვარკვევა ჩვენი რევოლუცია და რუსეთის რევოლუცია ერთი და იგივე ტიპის რევოლუცია იყო. ერთი და იგივე ძალებმა გამოიწვიეს ის, ერთი და იგივე პირობებმა წარმოშვეს ის. მაგრამ ყოფილი იმპერიის შენადგენელ ერთათვის სხვა და სხვა გზით წაიდა ის, ამისი მიზეზი იყო ამ ერთა ეკონომიური და გეოგრაფიული მდგომარეობა. რევოლუცია დანაწილდა და სხვა და სხვა მხარეებში სხვა და სხვა ელფერი მიღო. ის მხარეები, რომელნიც საწარმოლო ცენ-

ტრებთან ახლოს იყვნენ, ბევრ ხან ვერ დარჩენ უცენტროთ. მაგალითად, ჩრდილოეთის კომუნა, ვოლგის სანაპიები, უკრაინა, ბოლოს ლონიცი. აქ პოლიტიკურ პარტიკულიარბის ეკონომიური ცენტრალიზმის ძალებმა სძლიეს. ამ უკანასკნელს კი პოლიტიკური ცენტრალიზმიც უნდა მოყოლობდა. ისტორიულათ განსაკუთრებულ პირობებში იყო პოლონეთი, თუმცა აქაც გადამჭერი მნიშვნელობა მის ეკონომიკას ჰქონდა. პოლონეთი ტენიკურათ განვიითარებულ მხარეა და გეოგრაფიულათ უფრო დაკავშირებული დასავლეთთან, ვიდრე რუსეთის რევოლუციის ცენტრთან. ამიტომ ის თვინანვე ჩამოშორდა რევოლუციას.

განსაკუთრებულ პირობებში იყო საქართველო. ის სრულათ დამოკიდებული იყო რუსეთის წარმოებზე. მის ეკონომიური დამოუკიდებლობა არ შეეძლო, ვინაიდან საამისო ძალები არა ჰქონდა. მართალია, ნაციონალური სიძლიერე დიდა საქართველოში, მაგრამ ნაციონალური ინდუსტრია არ არის. ჩვენ არც მგარი ნაციონალური ბურჟუაზია გვყავდა. ჩვენი ქვეყანა უარესათ წვრილ-მეურნეობის ქვეყანა იყო და არის. და ნურავის გონია, რომ სამი წლის განმავლობაში ჩვენი დამოუკიდებლობა ჩვენი ძალების, ამ შემთხვევაში პოლიტიკური ძალების, ნაყოფი იყო. თუმცა, სამწუხაროთ, ამ სამმა წელმა ძლიერ გაიუნა ჩვენი მარქსისტულ-რევოლუციონური ხაზი. ჩვენი სამი წლის განმავლობაში „დამოუკიდებლობა“ იყო შედეგი რუსეთის რევოლუციის და კონტრ-რევოლუციის ბრძოლისა, შედეგი დონში დაღვრილი სისხლისა. მე ვამტკიცებ, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენი ამ სამი წლის ისტორიისა დაწერილია, ობიექტიურათ დონში და ყუბანში დაღვრილი სისხლით. ის, ვინც წინააღმდეგს ფიქრობს, ან აუბატიურებს ისტორიულ-ფაქტებს, ან ბოროტათ ძალმომრეობს მათზე, ან უტიფრათ ფარისევლობს. ჩვენ არ ვეუთვნით არც ერთ ამ უფრის ხალხს. ჩვენ არავისი ტაში და თავზე ხელის მოსობა არ გვინოა, ჩვენ არ ვართ შემოჭილი ავთიმოფორი ნაციონალიზმი. ჩვენ ვართ ესკეთს. ჩვენი სამი წლის ყოფნის და ბრძოლის, ვინაიდან ამას მაშინ ჩავდიოდით გულწრფელათ, გვეგნდა ნაკადი, დედა მდინარეს მოწყვეტილი, თავისით გაიკვლიედა გზას სოციალიზმის ზღვისკენ. შემცდარი ის, ვინც ფიქრობს, თითქოს ჩვენ ვაფუთხებდეთ იმ ჯაში, საიდანაც ესვამდით წყალს. არა! ჩვენ მარქსისტები ვართ და ყოველივე სოციალურ მოვლენას ისტორიულათ ვუდებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე საზომით არ განიზომება სხვა და სხვა ისტორიული მოვლენები. ის, რაც შეიძლება რევოლუციონური აქტები ყოფილი იყო 1918 წელს, დღეს რევოლუციას აფერხებს და, პირობით, ის, რაც დღეს აჩერებს ჩვენს ამხანაგებს ძველს პოზიციებზე, ობიექტიურათ რევოლუციის ჩამოშორებაა.

ეს ასეა, ვისაც აქვთ თვალნი ხილვათ, ხოლო, ვინც განგებ იხუჭავს თვალებს, ეს მუსულმანურ ფანატიკოსს გვაგონებს. გაავიანით ალბათ, მუსულმანებში არიან ისეთი ფანატიკოსები, რომელნიც მთელი თავისი ცხოვრების მიზნით მტყის ჩასვლას და მუშაქმედის საფლავის ქვის ამბორს და ხილვას ისახვენ. სრულდება დიდის

ხნის საწადელი, მუსულმანი ჩადის მეტას, იხილავს საფლავს და... შემდეგ დაითხრის ორი თვალს (\*). ფანატიკში ფსიქოლოგიური აფექტია, აფექტი გონების ავთიმოფობია, გონებით ავთიმოფობი კი, არა მარტო რევოლუციონათვის, არამედ საერთოდ საზოგადოებრივ სტრუქტურაში ზედ-მეტი ბარგია.

და ის, ვინც წარსულში ექებს იდეალს და გამოსავალს, ვინც დაიწვა თვალები თითქოს უკეთეს ველარ იხილავს, ამ ფანატიკოსს მუსულმანს მაგონებს.

საკითხისადმი ისტორიული მიდგომა გვეუბნება, რომ ჩვენი პარტია ისტორიული თან და თანობით არ მოსულა 26 მაისამდე. ჩვენ აქ 26 მაისის დღეს ისტორიულს აქტს კი არ ვაფასებთ, ჩვენ გვინდა გავეყვით იმ წრეს, რომელიც შემოხაზა რევოლუციამ 1917 წ. თებერვლიდან დაწყებული 26 მაისით და 25 თებერვლით, ვიდრე 25 ავგისტომდე. ამ წრეს თავისი ისტორია აქვს, ამ ისტორიის თავისი ახსნა, მაგრამ ახსნა კიდევ არ ნიშნავს გამართლებას. რომ საქართველო ვერ დაშორდებოდა რუსეთის რევოლუციას, ეს კარგათ იკოდენ ნოე ჟორდანიამ და ირაკლი წერეთელმა. ამ სტრუქტურის ავტორი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში მუშაობდა, როდესაც ამ უკანასკნელს მოუვიდა ჟორდანიას და წერეთელის წერილი, სადაც ბოდიშის კილოთი იყო ნათქვამი, — მართალია, გამოგეყავით, ამხანაგებო, მაგრამ იმედი გვაქვს ისევ დაგობრუნდებითო. ჩვენ გამოყოფა გვეწყინა, მაგრამ წერილმა დაგვარწმუნა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატია ისევ დაუბრუნდებოდა რუსეთის რევოლუციას.

დრონი იცვალენ. პოლიტიკური პარტიკულიარბისში, რომელიც თან დაყვა რევოლუციის წრის აღმავალ ხაზს, ხაზის ვაგრძელებაზე დამოუკიდებლობათ გადაიქცა. მაგრამ ჩვენი დამოუკიდებლობა ეფემერული იყო. მას არ ჰქონდა კვარცხლბეკათ მგარი დამოუკიდებელი ეკონომიკა. ჩვენ გვყავდა სათავში ფრიად მგარი პოლიტიკური პარტია, ჩვენ გვქონდა საფუძველათ ფრიად სუსტი წარმოება და მეურნეობა. ეს აღნიშნეს სოციალისტური დღე-გაცის წევრებმა: ჰიუსმანსმა და დე-ბრუკერმა. ამ უკანასკნელმა კიდევ სთქვა: მე პირდაპირ ვშიშობ, როდესაც ვფიქრობ თქვენს ეკონომიურ-მდგომარეობაზეო. და მართლაც, ჩვენ, პოლიტიკაში მეფეები, ეკონომიკაში ბანძის გლეხები დავრჩით. აქ, მარქსისტებს, — ისტორიის ირონია არ არის? — მარქსიზმმა დაგვეცინა. მხოლოთ საწარმოო ძალები და მათში განვიითარებული ტენიკა პოლიტიკის საფუძველი. გაგვიტყვა ნაციონალიზმის ტალღებმა, შეეტოპეთ წვრილ ბურჟუაზიულ ზღვაში, იალქანი ავმართეთ ანტანტის ნაპირებისკენ, ზურგი ვაქციეთ რუსეთის რევოლუციის ზღუდეებს. მართალია, პარტის დაეტიყო აზრის ამუშავება, გამრფხიზლება, უკვე 1921 წლის იანვარს გაისმოდა ხმები ტაქტიკის ვადახედათ. გვეუბნებოდენ ეს რევიზიონიზმიო, ვეუბნებოდით: სახელი თქვენ მონახეთ, ჩვენ შინაარს მოვნახავთო.

იყო ასე, ამხანაგებო!

\* ესათ და უკეთეს ველარ ვნახებო.

მაგრამ გარეშე პირობებმა მოასწრეს ჩვენს პარტიაში პარტიის ტაქტიკის ვადახედვას, თუმცა ერთმა ფრთამ „მოასწრო“ გამოყოფა. თებერვლმა კვლავ შეაჯგუფა პარტია. კარგნი ვიყავით თუ ცუდნი ვიყავით — ჩვენ ვიყავით. მართალია „ჩვენობამ“, ჟორდანიას თქმის არ იყო, უფსკრულამდე მიგვიყვანა, მაგრამ თებერვალმა ეს დაგვაიწყებინა. გავიდა დრო. თებერვალი ჩვენ დავაფასეთ, როგორც სოციალური რევოლუციის გაფართოება, მიიხედით, რომ რევოლუციის ინტერესები მოიხზოდენ აჩქარებითი ტემპს. თებერვალი იყო რევოლუციის მიერ გამოწვეული პოლიტიკური პარტიკულიარბისს უკანასკნელი დღე; რევოლუციამ ვინც შემოავლო და წრეში მოექცნენ ისინი, ვინც იყო ამ რევოლუციის ავანგარდში მუდამ და ყოველთვის. ეს საქართველოს მუშებია.

თითქმის სამი წელი ვუყურეთ ჩვენ „უტხოვლებს“ და გვეუცხოვა ბოლოს, რომ განზე ვიყავით. საქართველო რუსეთის რევოლუციის პოლიტიკის ორბიტაში მოქცეული. დღეს კი რუსეთში ძალები ორ მოპირდაპირე პოლიუსზე დაირაზმა. ერთში ჩვენა ვართ, მეორეში ვამიშვლებული რეაქციაა. რეაქციის გამარჯვება რუსეთში რეაქციის გამარჯვებაა საქართველოში. ეს ნოე ჟორდანიამაც სთქვა: ვრანგელი მოსკოვში ნიშნავს ვრანგელს ტუფილისშიო. და დღეს რა დროა გარძობებზე ლაპარაკი, როდესაც ხვალ-წევ შეიძლება ყველანი ერთს ტაფაში დავიწყებო? დღეს ლაპარაკი ნაციონალურ თავმოყვარეობაზე ინტელიგენტური ავთიმოფობაა, პოლიტიკური „ბელორუქობაა“ — ეს იმას არ ნიშნავს თითქმის ჩვენ ვინმეს ნება უნდა მივსტოო ჩვენი კულტურული მემობა შებღალვოს. 12.000 დაცილი რევოლუციონერების რევოლუციის რიგებში კვლავ ჩადგომა თავდებია იმისი, რომ საქართველოში ვერავინ გაბედვს საბალახოთ შემოსვლას და თუ ვინმეს სითავხედე ან სისულელე ეყო, ჩვენ შეგვწყვეს ძალა და გვეყოფა გამბედაობა ყველას თავისი ადგილი ვუჩვენოთ რევოლუციამ იცის თავისი აკრობატების ყოლა, მაგრამ რევოლუციონერებმა იციან ამ აკრობატების ალაგმვა. ეს დაიმახსოვრეთ!

დაიმახსოვრეთ ისიც, რომ ჩვენთვის არ არსებობს საერთო ინტერესები ქართველ მუშასა და ქართველ არა მუშას შორის. ჩვენ ახალ-ზელანდიელი მუშა გვიჩვენია ქართველ ან რუსს ბურჟუას და ფეოდალს. შეიძლება გვეგონოთ, რომ შეგნება შექმნის „ეროვნულს ფრონტს“ 1848 წ. პარიზის პროლეტარიატი და ბურჟუაზია ერთად იბრძოდენ, მაგრამ გამარჯვებით ბურჟუაზიამ ისარგებლა. დღეს „ეროვნულ ფრონტში“ თავმოყრილი ხვალ მოსისხლე მტრებათ იქცევიან, ვინაიდან სხვა და სხვა, ამ ძალთა როლები წარმოებამ, სხვა და სხვა საფუძურზე დგანან ისინი საზოგადოებრივ სტრუქტურის კიბეზე. ამ ფრონტის საკრძობ ნაწილს ჩვენი ინტელიგენცია შეადგენს, ამ ინტელიგენციას კი არა აქვს კლასიური იდეოლოგია. უმცირესობა ჩვენთანაა, უმარავლესობამ არც კი იცის რომთანაა, მას არა აქვს კლასიური საფუძველი, რომელზედაც ალაპარაკდეს ერთის ერთი. ეს უმარავლესობა სხვა და სხვა სოციალური ჯგუფებიდან შესდგება,

მას მხოლოდ საერთო უიდეოა ან ძიება აკავშირებს. და ძიება კიდევ არ ნიშნავს გარკვეულ გზის, იდეოლოგიის ქონას.

მაშასადამე, ისტორიული ხაზი ნაციონალური ნაპირიდან კლასის გზაზე მიდის. ეს განსაკუთრებით ჩვენი ამხანაგებისთვისაა საყურადღებო. და შიშმა იმის შესახებ, თუ რას იტყვის „სახოვადობა“, არავინ არ უნდა შეაშინოს. მხოლოდ საჭიროა ნაკლები „მეშინაობა“ და ინტელიგენტური ქაჩაობა და მეტი რევოლუციონერობა.

როდესაც ერთიანდებოდა გერმანიის წვრილ-წვრილი სახელმწიფოები ერთ დიდ გერმანიად, პატრიოტული წრეები სიხარულით ცას სწვდებოდნენ. ამას დავმატა ელზასლორენის ანექსია და დიდი გერმანიის საიმპერატორო გვირგვინი. 1871 წლის ზამთრის სესიის დროს რეისხტაგში ირჩეოდა ამ საკითხების გარშემო ახალი კონსტიტუცია, როგორ გგონიათ, რა პოზიციას დაადგენ გერმანიის გაერთიანების დროს ბებელი და ლიბკნეხტი?—პატრიოტობა უარყვეს და გაერთიანების წინააღმდეგ გაილაშქრენ, ვინაიდან გაერთიანება ხდებოდა ზვევიდან ქვევით. ბებელი ამის შესახებ სწერს თავის მემუარებში (А. бешель из моей жизни, т. II, ч. II, გვ. 14) „бешенство патриотических кругов против нас безгранично, и, если нас в ближайшем будущем возьмут, то уже крепко и надолго“.

დღეს კი რუსეთის რევოლუციასთან გაერთიანება ხდება ქვევიდან ზევით და ჩვენ ვამბობთ:

— ერთი გზა და ერთი ოცნება გვაქვს ამ რევოლუციასთან;

— პატრიოტულ გრძობებზე თამაშს თავი უნდა მივანებოთ და გავსწიოთ კლასისკენ;

— ჩვენი კულტურის არ გვეშინია, მისი წაქცევას ვერავითარი „დერკემორა“, რომც მოინახოს ასეთი, ვერ შეესძლებს. ის მდიდარი და მაგარი;

— ამ გადაწყვეტ დროს კლასისკენ, მხოლოდ კლასისკენ, ამხანაგებო!

რ. ქორქია.

### ისტორიის გართლგსაჯულაების პარკბთან.

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში რამოდენიმე წერილი დაიწერა განსაკუთრებული ხასიათისა და შინაარსის. მოწინავეს ეწოდებოდა „გაიგონებს“? ეს წერილი მიძღვნილი იყო ნ. ჟორდანისადმი, რომელიც ჩვენი აღმზრდელი არის და რომლის დაბრუნებას და ჩვენს, მის აღზრდელი მუშებთან კვლავ კავშირის გაბმის საჭიროებას აღნიშნავდა ხსენებული წერილი. მეორე წერილი სემკოვსკისა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ დიდი ძიებისა, გამოცდილებისა და გაკვეთილების შემდეგ იგი დაიძრა „ცენტრის“ გაყინულ წერტილიდან და კომუნისმანდე მივიდა. მესამე წერილი ეხება სემკოვსკის წერილის აზრსა და შინაარსს.

სამი წერილი ერთსა და იმავე საკითხს უტრიალებს. ეს საკითხია მექანიზმის სიკვდილი და ბოლშევიზმის გამარჯვება. საკითხი ღირსია ყურადღების, დიდი კვლევა ძიების,

შეცდომათა მიზეზების აღმოჩენის და გამარჯვების მიზეზთა გათვალისწინების.

გაივლიან წელნი, ჩვენს ძელებს სამარე დაფარავს, ჩვენს აღმუშოთებასა და სიხარულს საზღვარი დაედება, ჩვენი აზრი და ფიჭრი გადასული შავით თეთრზედ, ჩვენი რეალური ნაბიჯები აღბეჭდილი ცხოვრების სინამდვილეში ვახლება კვლავ მსჯელობის საგნად, ისტორიის ხელი მართმსაჯულებათა კარებს ვაალებს და ჩვენი ნაბიჯების პასუხისმგებლობას მოგვთხოვს. ჩვენც ერთი წუთითაც ვერ გავეცევით და არც გვსურს გავეცეთ ამ პასუხისმგებლობას.

ბეგრი ვივინდარა ლაპარაკობს დღეს ჩვენს „გახრწანზე“, ბეგრი ლაყობს ჩვენს ვითომ ზნობრივ სიმდაბლზედ, მაგრამ ამას არც ეხლა და მით უფრო არც შემდეგ არ აქვს ცარიელი ნაჭუჭის ფასიც კი.

ჩვენ ერთ კითხვანზედ—ვცდებოდით თუ არა ჩვენ წინეთ—დადებითად უპასუხებთ—ჩვენ ვცდებოდით. ეს დღეს ბევრს აკვირებს. საკვირველიც არის ეს საქართველოში, სადაც ჩვენი სიამაყე იქამდე იბერება, რომ არც ერთი პიროვნება თუ საზოგადოებრივი ჯგუფი თავის შეცდომაზე არ ლაპარაკობდა.

წინეთ არც ერთი პარტიისაგან არ მოგვისმენია ის საკვირველება, რომ იგი ოდესმე, სადმე, რამეში შემცდარიყოს. ყველა შეუმცდარობაზე, მაღალ ნიჭზედ და დიდ პოლიტიკურ სიმაღლეზედ ვლაპარაკობდით. ხშირად მტკიცების პროცესი ქმნის დაჯერებას და ყველას გვეჯეროდა, რომ არც ერთი არ ვცდებოდით.

დღეს ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ვინც თავის შეცდომებს აღიარებს იგი ათვალისწინებული ვახლება. ეს გასაგებია. გასაგებია კიდევ უფრო ჩვენ არ გვესმოდა, სახელად პოლიტიკაში შეცდომა ნორმალური და ხშირი მოვლენაა და არა იშვიათი ამბავი.

ამხ. ლენინის გენიალობა იმაშია არის, რომ იგი პარტიის შეცდომებს ყველაზედ უფრო აღწერა აღნიშნავს და იღებს ზომებს მისი გამოსწორებისათვის. აქ არის ჰესმარტი თვისება პარტიის ბელადის. იგი ოჯახის მამაა, რომელიც წარმატებასა და ჩამორჩენას, მოგებასა და წაგებას, სიკეთესა და ბოროტს ფრთხილად ადევნებს თვალყურს და დაულალავად მოქმედობს.

ღიას ჩვენ შევცდით და ვალიართ კიდევ ეს შეცდომა. ამ ფაქტში არ არის არც ერთი წერტილი, რომელიც ამცირებდეს ჩვენს პოლიტიკურ სახეს. პირიქით ჩვენ მიერ შეცდომის აღიარება თავისთავად რევოლუციონური ფაქტია. ზოგი მოღვაწე თუ პარტია ვერ გაბედავს შეცდომების გამოგლავებას. იგი იღუპება, მაგრამ არ ყოფნის გამბედაობა, ნებისყოფა, რომ სინამდვილეს გაუსწოროს თვალის და შეცდომის შეგნებით იგი გამოასწოროს.

ჩვენ კი გვეყო გამბედაობა ამისათვის და ამაში ჩვენი ღირსებაც. რასაკვირველია ტრაბახობის კორიანტელს არ ვაყენებთ. ტრაბახობის ფასი მეტად მცირეა და არ იყიდება იგი საქმიად განვითარებულ პოლიტიკურ ბაზარზედ, რომელიც არის ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ მხოლოდ ამას ვამბობთ იმ ყოველ ამხანაგათა თუ არა ამხანაგათა მიმართ, რომელნიც პატა-

რა სულთ, შეხუთული ატმოსფერით. ვიწრო სათვალეებით და მცირე მასშტაბით ზომიერ ჩვენს მოქმედებას. ჩვენს ნაბიჯს, ჩვენს მოღვაწეობას.

ვინც ვადახედავს პარტიათა დაშლის ევროპისა და რუსეთის მაშტაბით, ვინც ვაითვალისწინებს კომპარტიის აღმოცენების პროცესს დასავლეთში. რომელიც სოციალისტურ პარტიებისაგან წარმოიშვა, ვინც შეითვას მისი ობიექტიურად იმ პოლიტიკურ ეკონომიურ კონიუნქტურას, რომელიც ქმნის ვადახედეტ რევოლუციონერ პრძოლებს პერიოდს კაცობრობის ცხოვრებაში და შრომისა და კაპიტალის დაპირისპირებით ახდენს მეტროდ ძალების დიფერენციაციას, იგი დაგვეთანხმება, რომ, რაც მოხდა საქართველოში სოციალ-დემოკრატის ოჯახში, ის ლოღლიკური, აუცილებელი, დადებითი და პროგრესიულია.

არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ იგი პროგრესიულია არა განებებურებული ბურჟუაზიის შეხედულებით, რომელსაც რევოლუციონერი და კომუნისტი წარმოუდგენია ყაჩაღობათა არამედ იგი პროგრესიულია პროლეტარში სოციალ-დემოკრატის აუტომა ბურჟუაზიის სახანლენი, მხოლოდ თვითონ უსახლკაროთ არის. შეუქმნია ოქროები, როდესაც თვითონ გროში არ მოეპოვება, მოუქსოვია ძვირუასი სამკაულები, რომელიც თითონ სიცივით სულს ღაფავს.

ჩვენ კი ამ აჯანყებულთა, ბუნტართა და თავზედ ხელაღებულთა თვალებით შევყურებთ ქვეყანას და თუ ისტორიაც უმუხტოვებს და მონებულთა რიგებს, თუ მისი მართმსაჯულების კარები ჩვენთვის დაიკეტება, მაშინ პროლეტარიატის ძლევა მოსილი მსვლელობა შეაჩერებს ასეთ ისტორიას, დაამსხვრევს მის მართმსაჯულებას, თვით შექმნის ახალ ცხოვრებას, ახალ ისტორიას, ახალი ზნობით, ახალი შეგნებით და რწმენით, რომ თავისუფალა მშრომელმა ხალხმა თავისი მართმსაჯულების მიხედვით განაჯუღულოს რევოლუციის მტერი და მოყვარენი.

რამდენადაც მეტად შეგვებრძოლებიან ჩვენ ახალ გზაზე შემდგარი, რამდენათ მეტათ ვაგვიცხავენ. რამდენად მეტად ამოსრიან ჩვენს წმინდა და სვეტაც რევოლუციონერი სულს „გახრწნილების“ ემბაზში, იმდენად მეტად ნათელი ვახლება ყოველ რევოლუციონერისათვის, რომ ჩვენ მართლაც ღირსეული წევრები ვართ რევოლუციის რიგების, რომელიც მართალია მოგვიანებით მოვლით გამაფრებელი ბრძოლაში მყოფ ავანგარდთან, მაგრამ ჩვენი მუშების ორი ათეული წლის განმავლობაში რევოლუციონერი წარსული თავდებია იმის, რომ გამარჯვების წითელ დროშას ჩვენი მუშების კორიანი ხელები, ბრძოლის ქარტეხილში უფნებლად გადაარჩინენ და ისე გადასცემენ მომავალ თაობას.

პირუთენელი ისტორიის სამსჯავრო, რომლის მოსამართლე იქნება არა ვაბატონებული კლასის წარმომადგენელი, არამედ ხალხის უმრავლესობის მოსარჩლე—ჩვენ ვჯავრო საქართველოს მუშათა კლასის ნაბიჯს უფლებლად ვამართლებს.

ა. კალაძე.

# საბჭოთა სოხხეთის 3 წლის თავი.

29 ნოემბერს შესრულდა სამი წელი მას შემდეგ, რაც სომხეთის მშრომელმა მასსამ სახელმწიფო წითელი არმიის დახმარებით მოიცილა დაშნაკური პარტიის დიქტატურა და საკუთარი საქმის კეთებას თვით მიჰყო ხელი. ამ დღეს სომხეთის მშრომელი ხალხი დიდი ზეიმით შეიგება და შემდეგ მთელ ასევე შეხვდება, ვინაიდან ამ დღიდან იწყებს ნამდვილ ცხოვრებას და მოუკადმელი მშრომელთა სოციალისტური სომხეთი.

ამ დღიდან მოიცილა რა თავიდან დაშნაკულთა ბატონობა, ის აღარ არის უკვე სათამაშო ბურთი დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური ხროვის ხელში, რომელიც თითქოს დიდის თავგამოდებით იცავდა მას, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ საკუთარი ინტერესების მიხედვით ავანტიურაში ხან ერთმ წააქეზებდა მათხერისტიების პარტიას, ხან მეორეში. დაშნაკულთა ბატონობის დროს სომხეთის ვრი დასუსტდა, დაუძღურდა.

თითქმის გამუდმებული ომები მეზობელ რესპუბლიკებთან საარაკოთ ანადგურებდა მის ისედაც სუსტ ეკონომიურ რესურსებს, ალტაკებდა ხალხს. ლტოლვილებით, უამრავი მშვირმწყურვალე საკუთარი კუთხიდან გადმოხვეწილი ხალხით, ასევე იყო არა მარტო სომხეთის მნიშვნელოვანი ცენტრები, მთელი ამიერკავკასია.

და უკიდურესობამდის მისული ხალხიც კი წამდაუწყმე აუანყებობ უპასუხებდა მათხერისტებს, ავანტიურისტებს, რომელთაც სახელმწიფოს სადავე ხელში ეპყრათ და დაღუპვისაკენ მიაქეზებდნ ქვეყანას.

მთელი რიგი აჯანყებისა, რომელიც სომხეთის გასაბჭოების დღემდის არ ჩამქარალა, იყო აღმფრთხილებული მშრომელ მასის პასუხი თავგასულ ავანტიურისტების ხროვას.

და აი 1920 წლის 29 ნოემბერს, სომხეთის მშრომელთა მასსამ, როგორც იქნა მოიცილა თავიდან ავანტიურისტების ხროვა.

29 ნოემბერს თვით მშრომელმა მასსამ მოჰკიდა ხელი საკუთარი საქმის კეთებას. და მის შემდეგ მშვიდობიანათ ეწევა აღმშენებლობა — მუშაობას. უკვე სამი წელი შესრულდა მას შემდეგ და დღეს შეიძლება ითქვას რომ ამ 3 წ. განმავლობაში სომხეთის მშრომელმა მასსამ დაისვენა, ის აღარ არის უკვე ფიზიკური ამოცულების საფრთხის წინაშე.

მას აღარ უხდება უკვე თავის მოძმე მშრომელ მუსულმანს თოფით გადაუდგეს გზაზე, ან თავის სოფლის დასაცავად გამოვიდეს შემოსეულ მუსულმანებისგან.

ის აღარ არის უკვე ჩამებული ძმათა შორის სისხლის ღვრაში, ამ სამი წლის განმავლობაში მას დაავიწყდა რა არის ლტოლვილობა, გადახვეწილი, უზინაო, უსახლკარო ცხოვრება.

მას აღარ ეშინია უკვე, რომ საკუთარ კერას, ოფლითა და სისხლით მორწყულ მიწა წყალს ვინმე შემოესევა, აუწიოკებს, გააპარტახებს და იძულებულს გახდის მიატოვოს, გაიქცეს მშობლიურ კუთხიდან.

დღეს მას ამის შიში აღარ აქვს, ვინაიდან მან იცის, რომ მის მეზობელ ქვეყნებში

მშრომელთა ხელისუფლება ვაბატონებული ისევე, როგორც მის საკუთარ ქვეყანაში, ხოლო მშრომელთა სახეუბარი, საომარი, გასაყოფი არა აქვთ რა.

მათი ინტერესები ერთია — შრომა პატიოსანი, საკუთარი საქმის კეთება.

სომხეთის ერს დღეს თავისუფლათ შეუძლია გადახედოს სამი წლის განვილი გზას, წარსულ თავის ცხოვრებას და სთქვას: მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება საქმით არის დამცველი მშრომელთა კეთილდღეობისა და მშვიდობიანობისა.

და არა მარტო სომხეთს, მთელ ამიერკავკასიას, მხოლოდ საბჭოთა წყობილებამ მიანიჭა ის სიმშვიდე, მოძმე ერთა შორის სოლიდარობა და თანხმობა, რომლის მონატრე იყო ის გასულ კომმარული წლების განმავლობაში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა ამიერკავკასიას მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა, უზრუნველყო მისი ფიზიკური არსებობა, ჯერ შინაგანი ურთიერთ შორის ომებისაგან, მხოლოდ შემდეგ ვარეშე ძალთა შემოსევისაგან. და დღეს საბჭოთა წყობილების 3 წლის თავზე სომხეთის ხალხის ის ნაწილიც კი დარწმუნდა ამაში, რომელიც ასე თუ ისე დაშნაკოთ პარტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ამ დღემში ერევანში დასრულებული ამ პარტიის წევრთა ყრილობამ საბოლოოთ დაშალა დაშნაკური პარტია, ალგავა ის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზიდან.

თუ დღემდის აქა იქ კიდევ იყო ელემენტები, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლებასთან არ იყო, დღეის იქით თითო ოროლა ყაჩაღთა გარდა, ყველა მშრომელი საბჭოთა დროშის ქვეშ არის გაერთიანებული და დარაზმული მჭიდრო ძმურ კავშირში.

ჩვენ მივესალმებით ჩვენს მოძმე მეზობელ რესპუბლიკას მისი არსებობის 3 წლის თავზე. ჩვენ უსურვებთ მას მშვიდობიან ცხოვრებას საკუთარი მშრომელი ხალხისა და მთელი ამიერკავკასიის ერთა საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას.

ჩვენი მხურვალე გულითადი სალამი მას.

**გიორგი ვარლიანი.**

## დემოკრატიულსა და საბჭოთა ქვეყნებში.

(პარალელები).

ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში აქვს ფაქტებს.

როცა ჩვენ ვადარებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს საბჭოთა სახელმწიფოს, საუკეთესო — დამამტკიცებელი იმისა, თუ რომელი სისტემა სჯობია, არის თვით ფაქტების ალაპარაკება.

რა საჭიროა საკითხის გახვევა თეორიის ბურუსში, ალაპარაკება მარქსის და ენგელსის და ქექვა მტკრიანი წიგნების?

განა თვალწინ არ გვაქვს უამრავი ფაქტები, დაუშრეტელი წყარო მასალებისა, თურომელი სისტემა უკეთესია?

აი გერმანია თავისი დემოკრატიულ-კოალიციური მთავრობით!

აი აქვე საბჭოთა რესპუბლიკები! შევიდაროთ!

დავიწყოთ გერმანიიდან.

სახალხო მეურნეობა ინგრევა. 1923 წ. 2 იანვარს გერმანული მარკა უდრიდა 1923 წლის ნიშუშის 4.442 საბჭოთა მანეთს.

2 ივლისს — 1.000 მ.

1 ოქტ. — 3/4 მ.

6 ოქტ. 1 მ. ამნაირად 6 ოქტომბერს გერმანიის მარკა უდრის რუსეთის 1923 წლის ნიშნის 1 მ. ბონებით.

1923 წლის 10 თვის განმავლობაში მარკა დაცა 200 მილიონჯერ. ჩვენი მანეთთან შედარებით ამ დროს განმავლობაში მარკა დაცა 5 მილიონჯერ.

საბჭუთი მანქანა ვერ ასწრებს ნიშნების ბეჭდას.

მაგარი ვალიუტის შემოღება შეუძლებელი შეიქნა, ის ქმნის ახალ სპეკულიაციას. ვაჭრები ფასს აწესებენ ოქროზე გამოანგარიშეით. მუშებს კი ხელფასს აძლევენ ქალაღის ანგარიშიში.

მხოლოდ ერთ ღამეში ბურზე ფასი იზრდება 100—200 პროცენტით. მუშების რეალური ხელფასი დღითი-დღე ეცემა. ერთი დღის ხელფასი ძლივს ყოფნის 2—3 გირვანქა პურს.

ბურეუზია კიდევ უფრო აპატარავებს ამ ხელფასს. 8 საათის სამუშაო დღე დიდდება.

გერმანული მუშები, ინტელიგენცია შიმშილით კვდება, მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიაში კარგი მოსავალი იყო და მემამულეებს ბევრი პური აქვთ.

გერმანიის ბურეუზია მთავრობიდან იღებს აუარებელ სუბსიდიებს. მაგრამ რას ამხარს ამ თანხებს? უცხო ვალიუტის სპეკულიაცია. წარმოება კი უყურადღებოდ არის დატოვებული.

გერმანიის ძლიერი მრეწველობა ინგრევა.

ავგისტოში გაუჩრებლივ მუშაობდა მხოლოდ 1/3 ნაწილი ყველა წარმოებთა. ამეამათ კიდევ უფრო ცოტა ნაწილი მუშაობს.

მუშებს ასი ათასობით ერეკებიან ქუჩაში.

1922 წლის 1 ივლისს იყო 20 ათასი უმუშევარი, ხოლო 100 ათასი მუშა მუშაობდა არა სრულ კვირებს. ამ უამალ კი უმუშევართა რიცხვი ავიდა 3 მილიონამდე, არა სრულ კვირებს მუშაობს 5 მილიონი მუშა.

გერმანია ჩაფლულია ვალეში. მან უნდა გადახედოს 132 მილიარდი ოქროს მარკა. მთელი სიმძიმე ვალეების გადატანილია მუშებზე. საგარეო ვაჭრობის ყოველგვარი საზღვრები მოშლილია. გერმანია სდგას საგარეო ზანარზე სრული მისი გაყიდვის გზაზე.

ბურეუზიის მთელი თავისი კაპიტალი და ვალიუტა გადააქვს საზღვარ-გარეთის ბანკებში და სცილობს თავი იხსნას რევოლიუციისგან.

ასეთია მდგომარეობა იმ ქვეყანაში, სადაც მიექვს წელიწადია, რაც რევოლიუციის შემდეგ, მეფობს დემოკრატია და კოალიცია. ენლა ვანხით რა ხდება იმ საბჭოთა ქვეყნებში, სადაც მართვა-გამგეობა მუშების ხელშია!

აქ ადგილი აქვს ნელი, მძიმე, მაგრამ ურყევი გზით მეურნეობის აღდგენას.

ფინანსებიც თანდათან ჯანსაღდება.

15 სექტ. 1921 წ. ერთი საბჭოთა მანეთი უდრიდა 6 გერმან. მარკას.

31 ოქტ.—80 მარკას.  
 3 ნოემბერს — 950 მარკას.  
 1928 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში საბჭოთა მანეთის კურსი დაეცა მხოლოდ 42-ჯერ.

ქალაქის ფულის გამოცემა თანდათან მცირდება. ჩერონეცკმა მტკიცე ალაგი დაიკირა. ხელფასი დაწესებულია საქონლის და ბაჯალ-ლო ოქროს მავარი ვალიუტის მიხედვით.

საშუალო მუშას თავისი ერთი დღიური ხელფასით შეუძლია იყიდოს 25 გირე. პური.

ამ წლის გაზაფხულამდე რეალური ხელფასი თანდათან იზრდება.

საბჭოთა ხელისუფლება იღებს ყოველივე ზომებს, რომ ხელფასი არ დაეცეს. 8 საათის სამუშაო დღე ხელუხლებელია.

შიშშილი, სიცივე, სიბნელე, რომელიც 1918 წელს იყო, ჩაბარდა არქივს.

მუშის ცხოვრება უმჯობესდება თანდათანობით. ადგილი აქვს ფართე კულტურულ მუშაობას.

მრეწველობა ალორძინების გზაზე, მიუხედავად აუარებელი დაბრკოლებისა.

მატულაობს ნავთის და ნახშირის ამოღება, თუჯის და ფოლადის ჩამოსხმა და სხვა.

მსუბუქი ინდუსტრია დღითიდღე ზრდის თავის პროდუქციას.

მორიგი საზაფხულო კრიზისი ჩვენმა მრეწველობამ გადიტანა ვაცილებით მსუბუქად, ვიდრე წინა წლებში.

იღებენ ენერგიულ ზომებს ფასების დასაწევად, ამ მხრივ რამდენიმე შედეგი უკვეა.

სოფლის მეურნეობაში დასათესი არე გადიდებულია, იზრდება ბაზმის და სხვა სოფლის ნაწარმოებთა რაოდენობა.

სავადასახადო პრესის მძიმე უღლად აძევს კისერზე მხოლოდ ბურჟუაზიას.

მთელი სამეურნეო მოღვაწეობა ბურჟუაზიისა იმყოფება მუშათა დიქტატურის სასტიკ კონტროლის ქვეშ.

ფუფუნების საგნებზე დადებულია მძიმე ვალასახადები. ეს გარემოება აიძულებს ბურჟუაზიას თავისი კაპიტალი მოახზაროს საწარმოო ძალთა განვითარებას.

სავარეო ვაჭრობის მონოპოლია მთავრობის ხელშია.

უცხო კაპიტალი შემოდის ჩვენში სასტიკად განსაზღვრულ ფარგლების მიხედვით და იმ პირობით, რომ ჩვენს მეურნეობას შეუწყოს ხელი.

აი პარალელი ორი ტიპის სახელმწიფოთა შორის.

ორივე ამ სახელმწიფოს აქვს საკმაო ხნის ისტორია.

და დეე ეხლა თვით მკითხველმა განსაჯოს: — სად უკეთაა საქმე დაყენებული: საბჭოთა რესპუბლიკებში, თუ „დემოკრატიულ“ გერმანიაში?

**აღლები.**

**რად ვინაგვით მკითხველი.**

დღეს, როდესაც ურწმუნო თომანიცი კი დარწმუნდნენ იმაში, რომ სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიას ჩამოშორდნენ ის ძლიერი ფენები, რომელნიც მის სიმძიმეს წარმოადგენდნენ და საშუალოდ გამოეცალა

მტკიცე საძირკველი თავის ორქოფულ, მიუღებელ „ტაქტიკისა“ და ომიანობის შემდეგ წლების მოღვაწეობის წყალობით, და გულ ახდლიად აღიარეს ისიც, რომ საქართველოში, სადაც იგი ასეთი ძლიერის სიმპატიით სარგებლობდა, აქაც კი ასეთი ბედი ხვდა და 12,000 წევრი, შრომის ოფლში გაკაეებული მებრძოლი მუშა და გლეხი, ეს აქტივი მენშევიკური პარტიის ჩამოსცილდა და შეგნებულად დადგა მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, აი ყოველივე ამის შემდეგ კიდევ დარჩენილან ასეთი ამხანაგები, რომელთაც დიდი თუ არა პატარა რევოლიუციონური წარსული მაინც აქვთ, მაგრამ ვულზე ხელი დაუკრფეთ და მსოფლიო ორომ-ტრიასლ შორიდან უქქებია.

კიდევ უარესი. დარჩენილან ისეთი ამხანაგებიც კი, რომელთაც ძველი სძულთ, დამღუპველად მიაჩნიათ, და ახალს ჯერ-ჯერობით ვერ შერიგებიათ, დრო-მოკმულ ტენდენციებს მათში ღრმად გაუღვამთ ფეხი და მის გავლენისათვის თავი ვერ დაუღწევიათ, განიცდიან ერთგვარ მერყეობას, და ვერ გადაუწყვეტიათ რომელ ხომალდს მიასურონ, რევოლიუციის ზღვის ალღევებულ ტალღათა წინაშე გაიყრებულემა.

ის, რაც ისტორიის და რევოლიუციის აუცილებლობამ საქართველოს მუშათა კლასის ბედს არგუნა წილად, ვერ მოუხენლებიათ. ყველაფერი ის, რაც მოხდა და ხდება კიდევ მათთვის საეჭვო საგანადაა გადაქცეული და იმ ამხანაგებს, რომელთაც შეგნებულად დასტოვეს ძველი გზა და მტკიცეთ შესდგნენ ქეშმარიტ რევოლიუციონურ გზაზე უცნაურ სამღურაგეობითა და ათასგვარ ვიღვანა დაკარგულ სიტყვებით უმასპინძლებიან. იგინი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან იმაში, თუ რა უნდა გააკეთონ, რა არის მათი პირდაპირი მოვალეობა, როგორც რევოლიუციონურ მუშებისა და რა ხედებიან ახალ პლატფორმაზე დამდგარ ამხანაგებს, უსგამენ ასეთ კითხვებს:

— „ნუ თუ ბუნებრივია ის რაც დღეს ხდება? ნუ თუ ბუნებრივია ის, რასაც თქვენ აკეთებთ და იძახით. რად იწამეთ ის, რასაც ევბრძოდით, რაც მუშათა კლასის დამღუპველად მიგვანდა, რისაც გვეშინოდა, რათ იწამეთ ოქტომბერი?“ და ბოლოს „ყველანი იზიარებთ ყრლობის დადგენილებებს და თანახმა ხართ კომპარტიასთან გაერთიანებისა თუ არაო“.

ასეთი ამხანაგები დასაძრახისი კი არ არიან, არამედ შესაბრალისნი, რომელთაც ან თავდაუნებურად თავი ვერ დაუწევიათ გაუგებრობისათვის, ან კიდევ ძალათი სურთ დაიბრმავონ თავლები.

საჭიროდ მიაჩნია ასეთ ამხანაგებს ყველაფერი ის, თუ რად მოხდა დღეს ასეთი გარდატეხა ჩვენში, ჩემის აზრით, და რად ვიწამეთ ყველა ის, რასაც ევბრძოდით, და არის თუ არა ბუნებრივი ყველა ის, რაც ხდება.

გაუშაძლარ იმპერიალისტების მიერ ატეხილმა ომიანობამ, როგორც მთელს მსოფლიოში, ისე რუსეთშიც აამოძრავა მრავალმილიონიან მასებს, ჩაითრია მთელი მებრძოლი ელემენტი, და სისხლის ზღვები დღითიდღე იზრდებოდა. ამ საშინელმა ხანამ თავისი აუცილებელი და-

ლი დაასეა ამა თუ იმ მებრძოლ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას, რადგანაც ომიანობამ მოკვლიჯა და მსხვერპლად შეიწირა ეკონომიურ განვითარებისათვის აუცილებელი საჭირო ცოცხალი ძალა, და წინად თუ ჩქარის ნაბიჯით, პროგრესისაკენ მიიწევედა ამა თუ იმ ქვეყნის განვითარება, ახლა რევრესისკენ გაქანდა. თავიდან ფეხებამდი შეიარაღებულ ძალა სპობდა ერთი მეორეს, სპობდა თავისივე მარჯვენით შექმნილ სიმდიდრეს, ხალხის დოვლათს, ასეთი მდგომარეობა შეიქნა, მაშველი არავინ გამოჩნდა, თუმცა იყო მე-II ინტერნაციონალი, რომელიც იმ ფამად შტაბი იყო ყველა სოციალისტური პარტიებისა, მაგრამ ამ საბედისწერო ხანაში თავის დროშას აშკარიად სწევედა და ვერ გამოიჩინა ის აქტიუობა, რომელიც მას ეთმობოებოდა. მან არ მიიღო ზომები იმ დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად, რომელიც გამოტანილი ჰქონდა ომიანობის შესახებ, და ნაცვლად იმისა, რომ ეხმარა ყოველგვარი ძალა, ომისათვის ომი გამოეცხადებია პირიქით ხელი შეუწყო ამ სისხლის მღვრელ ომს, და საჭირო ლოზუნგების ვადსროლის მაგიერ პროლეტარიატის, მუშათა კლასის ფართე მასებში ბურჟუაზიასთან შეხმატებლდება და მეგობრული კავშირის გამო არჩია. რუსეთის სოციალისტური პარტიებმა, რომელნიც მე-II ინტერნაციონალის გავლენის და კარნახის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი, ვერ გადასდგეს ისეთი ნაბიჯი, რომლისაკენაც რუსეთის პროლეტარიატი მოუწოდებდა. ამიტომ ეს საშინელი და დამღუპველი ხანა გავრძელდა იქამდის, ხანამ საზარელი სურათი არ შეიცვალა რუსეთის რევოლიციით.

თებერვლის რევოლიუციამ იყვეტა.

რევოლიუციონერმა პროლეტარიატმა და შეგნებულმა გლეხებმა მიწასთან გაასწორა ყოველივე ის, რაც მის ნება-სურვილის წინააღმდეგ იყო გამოგონილი, დაანგრა საუკუნობით შექმნილი და განვითარებული კერპები. მისი თავისუფალი ხმა და დიდი ხნის ბრძოლაში პროლეტარიატის სისხლი შეღებილი წითელი დროშები სასახლებზე აფრიალდა, დაიბადა შრომელი ხალხურ სახელმწიფოს შექმნის იდეა, მაგრამ შინაური და გარეშე ქვეყნების ბურჟუაზია არ დასცხრა, მათ კვლავ მოინდომეს „ამღვრეულ წყალში თევზის ქერა, ჩაარევა სახელმწიფო საქმეებში და პროლეტარიატის მონაპოვარის თავის და სასიკეთოდ გამოყენება, ჩაერინენ და რევოლიუციამ სულ სხვა სახე მიიღო. მუშათა კლასი ყოველივე ამას უყურებდა და ითმენდა თავისი ბელადების იმედით. მაგრამ მათზე დამყარებული დიდი იმედები გაუტყრდა, და ეს დიდი მონაპოვარი ხანგრძლივი ბრძოლისა და ლუპვის უღსკრულისაკენ დაექანა, იმის მაგიერ რომ ამ ბელადებს თავიანთ მრავალ-მილიონიან რახმებისათვის ესრუნათ ზოგ ზოგი ვაჭარჯვებებით თავბრუ დასმულემა უკვე სულ სხვა ჰანგებზე დაიწყეს მღერია, ალლო ვერ აუღლეს რევოლიუციას, ალლო ვერ აუღლეს ძლივე მოსილ პროლეტარიატის ნებასურვილს და მისი ბედი განასაღველეს ჩაავლეს.

შეიქნა საშინელი მდგომარეობა. გარედან ძლიერი მტერი, შიგნიდან გამეფებული ანარქია

ყოველივე ეს მოითხოვდა ყველა რევოლუციონერ ძალების დაარზმვას, შინაურ აწეწილ-დაწეწილ საქმეების მოგვარებას, მშვიდობიანობის ჩამოგდების, მაგრამ ყოველივე ამის მიხედვით ერთი მაშინდელი მშაითველი სოციალისტი ბელადი ჰყოდა. წინ რომისაკენ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდის. ეს მაშინ, როცა გამჟღავნებული რეაქტია რევოლუციის ჩაღრჩობას ლამობდა. ეს ველარ მოითინა რევოლუციონერმა პროლეტარიატმა, ნათლად დანახა, რომ მისი ინტერესებით ვაქრობდნენ, მისი ბედი, ყოფნა არ ყოფნის საკითხი მწვავედ დაისვა, 25 ოქტომბერს ყოველივეს სასტიკი პროლეტარული მსჯავრი დასდო და ბოლშევიკების მეთაურობით გამოაცხადა თავისი დიქტატურა, უარყო თებერლის რევოლუციის ბუნება, და თავის ბედის ქედვა თითონვე დაიწყო.

ოქტომბრის რევოლუციის საშინელ პირობებში მოუხდა განვითარება...

რა დახვდა მას?

დანგრეული და გადაწყვარი რუსეთი. მთელი მეურნეობა და მრეწველობა განადგურებული. რკინის გზის ტრანსპორტი მოსპობილი. ფაბრიკა-ქარხნები გადაწყვარი-დაღწეული, გამძაფრებული ანარქია, ფიზიკურად დაუძლურებული-დასახინრებული ხალხი, ხანგრძლივ ბრძოლაში გაძვალტყავებული პროლეტარიატი, სიმშლიობა, ბურჟუაზიული სულისკვთების ინტელიგენციისა და ანტი-ბოლშევიკურ პარტიათა სასტიკი წინააღმდეგობა, რეაქციონერ გენერლებითა რაზმების თარეში და სხ. და სხ.

ასეთი ქაოსის აღმოფხვრა დასჭირდა ოქტომბრის ავანგარდს, კომუნისტურ პარტიას.

რა გააკეთა მან?

ყოველივე ის, რაც შექმნილი იყო რევოლუციის საწინააღმდეგოდ და წინ ელოებოდა მის გაღრმავებას, ძირ-ფესვიანად მოსპო. მან აღადგინა დანგრეული რუსეთი. განადგურებული მეურნეობა-მრეწველობა თითქმის ნორმალურ კალაპოტში ჩააყენა, მოსპო მთელს რუსეთში გამეფებული ანარქია, გაძვალტყავებული რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა წელში გაასწორა, ეკონომიურ ფრონტზე ძლიერი მუშაობის გასაღების წყალობით მოსპო შიმშილობა. აღადგინა დიდი-ნაწილი გადაწყვარი და დაღწეული ფაბრიკა-ქარხნებისა, აღადგინა დანგრეული რკინის გზა, თუ იყო რაიმე კონტრ-რევოლუციონერი ძალა, რომელიც საშიშროებას წარმოადგენდა რევოლუციისათვის, ერთიანად განდევნა...

არც რუსეთის განაპირა დანაგრულ ვრების ინტერესები დაივიწყა და საშუალება მისცა საკუთარ სახელმწიფოს შექმნისა და გამტკიცებისა. მთელს რუსეთში ჩამოაგდო მშვიდობიანობა და მოსპო ყველა ის სისხლის მღვრელი ომები და უთანხმოებანი, რომელიც მიმართული იყო მუშათა კლასის საწინააღმდეგოდ.

სად შეიძლება ყველა იმის ჩამოთვლა, თუ რა მასცა ოქტომბრის რევოლუციამ მუშათა კლასს;

ოქტომბერმა თავის განვითარების პროცესში თან და თან გააუარყოფა თავისი მისია, და ამიერ-კავკასიისა და რუსეთის შორის აღმართული ჩინეთის კედელი დაარღვია, მისმა

ძლიერმა სხივებმა აქაც შემოანათა, და საქართველოს მუშათა კლასმაც იხილა იგი.

რა მოუტანა ოქტომბრის რევოლუციამ და მისმა ხელმძღვანელმა კომუნისტურმა პარტიამ ამიერ-კავკასიას, კერძოდ საქართველოს?

უპირველესად ყოვლისა მთელი ამიერკავკასია გადაარჩინა ევროპის პომეველ კოლონიად გადაქცევის, გაუმძღარი იმპერიალისტების ხელებით ჯიჯვნას.

მოსპო ყველა ის უთანხმოებანი, სისხლის ღვრა, მტრობა და შუღლი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მრავალ წელთა განმავლობაში, და მანიჭა მას მშვიდობიანობა.

აღადგინა განადგურებული მეურნეობა, მისცა გზა ფართო აღმშენებლობას, გამოასწორა გლეხის ღუბჭირი მდგომარეობა, მისცა მას ის რაც უნდოდა, ეკონომიურმა ისე კულტურულმა ცხოვრებამ წინ წაიწია და სხ.

აი რა გააკეთა მან.

მეშვიდე წელია უკვე მას შემდეგ, რაც მთელს მსოფლიოში პირველად ჩაისახა პროლეტარული, სოციალისტური, მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

მეშვიდე წელია უკვე, რაც პროლეტარიატი თვის განაგებს თავის ბედს, თავის სახელმწიფოს, რომელიც გადაქმნილია მსოფლიოს 1/6 ნაწილზე.

ღიაღია იგი.

ღიაღია ოქტომბერი.

ოქტომბერი ცხარა ჩვიდმეტის, რომელიც მსოფლიო რევოლუციონერ პროლეტარიატის ბრძოლის ისტორიის ფურცლებზე მსხვილი წითელი ასოებით აღინიშნება, როგორც პირველი სამავალითო გამარჯვება მებრძოლ პროლეტარიატის.

ღიაღია იგი თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავალით!!!

აი რად ვიწამეთ იგი!

რევოლუციამ ბუნებრივი გამარჯვება ბოლშევიზმს არგუნა წილად. ყველა სხვისი ცდები ამ მხრივ შეუსაბამონი გამოდგნენ. და მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ შესძლო პირნათლად რევოლუციის მთელი სიმძიმის გადატანა. მრავალ წლების ბრძოლაში გამოწერთბილმა დასისხლიანებულ ხელებით, შეგნებულად, გმირულად გამოიტანა მან სამშვიდობოზე მუშათა კლასის დიდი მოთავეები.

ამიერიდან, ჩვენ ვერ ვიქნებით მტრები ოქტომბრისა.

ჩვენ უარგყავით ჩვენი ძველი გზა, რომელიც დალუპავს გვიქაღდა, უარგყავით ყველა დრო-მოკმული ტენდენციები და შევიღეთ ახალ სწორ გზაზე. ამიერიდან ჩვენ მთელს ჩვენის ძალონით, მთელს ჩვენის სიმტკიცით ვეცდებით გაგამაგროდ და გავასალკვევოთ ის დიდი რაზმი, ავანგარდი მსოფლიო პროლეტარული სოციალისტური რევოლუციისა, რომელსაც კომუნისტური პარტია ეწოდება.

აი რა ვიწამეთ ჩვენ. ეს იწამა თორმეტმა ათასმა მუშამ და გლეხმა და მისმა ახალმა მებრძოლთა კადრმა ხუთმა ათასმა ახალგაზრდამ.

დაე, ეს შეიგნონ ყველა იმით, ვისთვისაც ჯერ კიდევ ყველაფერი გაუგებარია, და ვერ უთქვამთ ერთი გადაწყვეტი რევოლუციონური სიტყვა, და თუ არ შეუძლიან დასძ-

ლიონ თავიანთი თავი და თავის ამხანაგებს ამოუღვენ გვერდში, ხელს მაინც ნუ შეუშლიან იმით, ვინც მდგომარეობა და მომენტი შეგნებულად შეაფასეს.

დაე, ყველამ შეიგნონ ის, რომ ასეთი მომენტების შეფასებისათვის საჭიროა მეტი რევოლუციონური სინდისი, სიფრთხილე და ობიექტივობა.

შ. იმედაშვილი.

## პატარა ფელეტონი

### მიზეზი ანტისაბკოთა პარტიების დაშლისა

იმ მიზნით, რომ მომეველ მემატანეს გაუადვილოთ გამოკვლევა თუ რა მიზეზით დაიშალა ანტისაბკოთა პარტიები, ჩვენ განვიზრახეთ ეხლავე შეუღვეთ ამის გარკვევას ჩვენი უზრუნალის ფურცლებზე.

ჩვენი გარკვევა იქნება წმინდა მეცნიერული, ობიექტიური და სრულიად მიუდგომელი. დაიწყოთ მენშევიკური პარტიიდან.

#### 1. მენშევიკური პარტია.

ამ პარტიის დაშლის მიზეზი მშვენიერად აქვთ გაშუქებული აზრ. ფარნიევს, ა. რუხაძეს და კიმოთე შენგელისა.

ამიტომ მოვიყვანოთ ციტატები მათი უამრავ სიტყვებიდან. აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ, რაც მენშევიკური პარტიის დაშლა დაიწყო, სანდრო ფარნიევს აქვს წარმოთქმული მთელ საბჭოთა რესპუბლიკებში ათ მილიონმდე სიტყვა და ჩქარა დაეწევა მისი სიტყვების რიცხვი გერმანიის მარკის კურსს.

არა ნაკლები რაოდენობა სიტყვებისა ეკუთვნის კიმოთე შენგელის დასავლეთ საქართველოს გლეხებში, ახალგაზრდა მარქსისტებში და სხვა უამრავ ადგილებში.

არა მარტო საქართველოში, ვოლოგდაშიაც წარმოსთქვა კიმოთემ ათასამდე სიტყვა, რომლის სტენოგრაფიას ამ დღეებში მოგვაწვდის რუსეთიდან აკაკი ჭყონია.

მათთან დიდ მეტოქეობას ეწეოდა არჩილ რუხაძეც და ის იყო ფარნიევს უნდა დაწეოდა, მაგრამ, სამწუხაროთ, რუსეთიდან ჩამოუსწორა სანდრომ და თავისი შთაბეჭდილებებზე იმდენი ილაპარაკა, რომ არჩილი ათას ვერსზე ჩამორჩა სანდროს.

კიმოთემ კი იხელთა დრო და მოედო დასავლეთ საქართველოს, სადაც ისეთი სიჩქარით ლაპარაკობს სიტყვებს და ისე სწრაფად გადადის ერთ ადგილიდან მეორე ადგილზე, რომ მენშევიკური ცეკვას მიერ მიჩნეული სავანებო აგენტები და სტენოგრაფისტები, რომლებიც ფეხდაფეხ მისდევენ კიმოთეს, ვერ ასწრებენ მისი სიტყვების ჩაწერას და მის შესახებ ყველა ცნობების შეკრებას.

ამიტომ, რასაკვირვებლია, ამ აუარებელ სიტყვებს ჩვენ აქ ვერ მოვიყვანთ, ვინაიდან მას ათასი ტომი ვერ დაიტევს. ჩვენ მხოლოდ მოვიყვანთ იმ ადგილებს, სადაც ნაჩვენებია მიზეზი ამ პარტიის დაშლისა.

სანდრო. ჩვენმა ლიდერებმა დაგვიმალეს მარქსიზმი. ეხლა ბოლშევიკებმა ის გვაჩვენეს. ამიტომ ჩვენი პარტია უნდა დაიშლოს.

**კომოთე.** მე და ვანო სტურუა მეზობლები ვართ. არც ჩვენ და არც ჩვენს ბაღანებს კულაში საჩუბარი არაფერი გვაქ. ამიტომ მე შეურიგდი მას და ყველა კომუნისტებს. მენშევიკური პარტია კი უნდა დავშალოთ, რადგან მე და ვანო სტურუა კაი ხანია შერიგებული ვართ. ჩვენი ბაღანებიც შერიგდნენ.

**არჩილი.** ერთხელ პლენაროვმა დასახა რევოლუციის ორი ხაზი: აღმავალი და დაღმავალი. ვინაიდან კომუნისტების ხელში რევოლუციის ხაზი ისე მიღლა ავიდა, რომ მას ვერც ერთი კონტრ-რევოლუციონერი ხელით ვერ შესწვდა, ჩვენი პარტია უნდა დივიზიონალური და ჩვენ ყველა უნდა დავიარაღოთ რევოლუციის ამ აღმავალ ხაზზე.

ყრილობამ არჩილის აღმავალი დაღმავალი ხაზების ვერაფერი გაიგო, მაგრამ კომოთესა და ვანოს შერიგების ამბავმა კი დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე და დაადგინა:

— ეშლით რა მენშევიკურ პარტიას, ჩვენც ვურიგდებით კომუნისტებს, ვინაიდან სოფელ კულაში არაფერი გასაყოფი არ აქვთ კომოთე შენგელისა და ვანო სტურუასო.

**2. ნაციონალ-დემოკრატები.**

ნაციონალ-დემოკრატებს ბევრი არ უღაპარაქნიათ, მაგრამ რაც სიქვეს, ისიც ბაჯალ-ლო ოქრო არის.

**პართენ გოთუა.** ჩვენი არსებობა სრულიად დაკავშირებული იყო მენშევიკების არსებობასთან. ჩვენი პარტია ებრძოდა მენშევიკებს უმთავრესად ეროვნულ საკითხში. ამ ბრძოლაში ჩვენ ისე ბრწყინვალე გავიმარჯვეთ, რომ მენშევიკები ჩვენზე უკიდურესი ნაციონალისტები გახდნენ და ჩვენს საქმეს ჩვენ უკეთესად აკეთებდნენ. ჩვენ მაშინაც შეგავძლო დაგვეშალა პარტია, მაგრამ ვეწმინდოდა.

— ვაი თუ მოგვატყუნონ და აბრუნდი გვიქნან.

ამიტომ მათ აღარ ვცილდებოდით. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პარტიტულ კომისიებში შევსდიეთ და არ მოვეშვით მანამ, სანამ არ ამოვიტყამით.

ეხლა კი, როცა მენშევიკური პარტია დანგრეულია, ჩვენი მიზანიც სრულიად მიღწეულია. ამიტომ რა თავში სახლელად გვიხდა ეხლა ეს ნაციონალ-დემოკრატიული პარტია?

პართენის სიტყვის შემდეგ ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ეროვნულ-დემოკრატებს თავისი მისია შეუსრულებიათ და ამიტომ ყრილობამ პარტია დაშლილათ გამოაცხადა. მათ შეუერთდნენ რადიკალ-დემოკრატებიც.

სათანადო დეკლარაციაც იქნა გამოშვებული, რომელზედაც ხელს აწერს ამ პარტიის მთელი შემადგენლობა — ორნახევარი კაცი.

ორმოცის თავზე დანიშნულია პანაშვიდი, რომელსაც ყოფილ პარტიის წევრების დასწრებით შესასრულებს მამა ამბროსი.

**მ. მემარცხენე ფედერალისტები.**

მემარცხენე ფედერალისტების ლიდერი თედო დლონტი მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი და პოლიტიკური სიტუაციის დროზე ალღოს ამტკიცებელი.

ამიტომ, როცა პოლიტიკური პარტიების ძალთა განწყობილება საქართველოში შეიცვალა, თედო დლონტიმ სასწრაფოთ შეკრიბა

თავისი მრეელი და ამერ-იმერიდან ყრილობაზე მოსულ დელეგატებს, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ ხუთი მილიონი მანდატით\*), გამოუცხადდა.

— ამხანაგებო! მენშევიკური პარტიის გაიძვირობა ყველამ კარგად იცით.

ორასი წელიწადია, რაც ჩვენი პარტია არსებობს და ამ საშინელ დიდ მანძილზე ჩვენი ისტორიისა მთელი ჩვენი ენერჯია იმარჯებოდა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ბრძოლაში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეს პარტ. სრულიად განადგურებული გვეგონა. მესამე წელია თავისუფლად ვსუნთქავთ და ვამარჯვებული გვეგონია თავი. მაგრამ, დახეთ, ამ პარტიამ კვლავ წამოიყო თავი. ის შეუერთდა კომუნისტურ პარტიას და ჩვენც გავგეჟრა კბილი — რად არსებობთო.

ამხანაგებო! ძველმა ისტორიულმა მტრობამ კვლავ იჩინა თავი. ყოფილი მენშევიკები, ვიცო, არ მოგვასვენებენ. მაგრამ მათთან ბრძოლა ეხლა არც ისე ადვილია, ვინაიდან ისინი შედიან მძლავრ კომუნისტურ პარტიაში.

და რომ ამ ბრძოლაში ჩვენ არ ვიქმნეთ დამარცხებული, საჭიროა მთელი ჩვენი ბარგობარბანით, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით, ქებათ, საცერით, გობით და ქოთანით გადავებარდეთ კომუნისტურ პარტიაში.

მართალია, ჩვენ წინათ არც ფილოსოფია გვექნა, არც მსოფლ-მხედველობა, არც მარქსისტები ვიყავით, მაგრამ ეს ნუ შეგავაშინებთ. მარქსის შეთვისება პოლიტიკური სიტუაციის საკითხია.

მაგრამ კარგად რომ ჩაუვკირდეთ ჩვენს მუშაობას, ჩვენ მგონი კი ვიყავით მარქსისტები. ბოლშევიკები ხომ ნამდილი მარქსისტები არიან? ისინი ებრძვიან მენშევიკებს, როგორც ყალბ მარქსისტებს. ჩვენც ებრძოდით მენშევიკებს. მაშასადამე, ჩვენცა და ბოლშევიკებიც რევოლუციონერი მარქსისტები ვართ.

ყრილობას ეს აზრი ძალიან მოეწონა და გადაწყვიტა ერთი თვის განმავლობაში მობედეს მემარცხენე ფედერალისტების პარტიაში ქვაბ-საცერის სრული აღრიცხვა, რომ მთელი ინვენტარით გადავიდნენ კომუნისტურ პარტიაში.

**დემონი.**

**საგჭოთხ ხელისუფლება და რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა.**

სხვა მრავალ ღონისძიებათა შორის, რომელიც მიმართულია ხალხის კეთილ-დღეობისაკენ, საბჭოთა ხელისუფლებამ ერთი დიდი ამოცანა დაისახა.

ეს არის ბრძოლა რელიგიურ ცრუ-მორწმუნეობის წინააღმდეგ.

\*) მართალია ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით საქართველოში 2 მილიონამდე მცხოვრები ითვლება, მაგრამ, როგორც ამ დელეგატების მანდატებიდან სჩანს, საქართველოში 5 მილიონი მცხოვრები ყოფილა და ისიც მხოლოდ ქართველები, ვინაიდან ყველა ქართველი ამ პარტიის აღცილებელი წევრია. ოფიციალური სტატისტიკაში საჭიროა შესწორების შეტანა. დ.

რა თქმა უნდა, ამოჯო ყოველგვარი ცდა ხალხის კულტურული დონის აწევისა, თუ ის არ განთავისუფლდა წინასწარ იმ დახაკებულ და უკვე დრო მიქმულ შენედელებათაგან, თუ გნებავთ რწმენისაგან, რომლის მიხედვით დედა-მიწა ერთი თვალის დახამხამებაში გაიჩინა დემეტამ, გააყო ხმელეთი წყლისაგან, შეწელი სინათლისაგან, შექმნა ადამიანი და სხ.

ყველაფერი ეს, სხვა რომ არ ვსთქვათ, გადაჭრით ეწინააღმდეგება იმას, რაც თანამედროვე მეცნიერულ კაცობრიობას შეუქმნია და მოუცია მსოფლიოს ადამიანის და საზოგადოთსამყაროს შემეცნების სფეროში. რელიგია ბურჟუაზიის ჰბევს იმას, რასაც მეცნიერება მკაფიოთ და გარკვეულად გვაძლევს. და ამიტომ სხვა რომ არა იყოს, ის უკვე რეგრესიული ფაქტორია საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უნდა მოკვდეს, ამიტომ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდის ენერჯიით შეუდგა ამ ეროვნური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ რა თქმა უნდა, მარტო ხელისუფლება იქ ეგრას ვახდენდა, სადაც თვით მასა, ხალხი მას არ შეუწყობს ხელს და არ დაეხმარება ღონისძიებათა გატარებაში. ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ხალხი კარგა ხანია, რაც მოსკოლდა მღვდლებს, უკუგდო სარწმუნოებრივი ბურჟუაზი და შეგნებულად ჩამოიშორა ის.

ჯერ კიდევ ათას ცხრაას ხუთ წელში, აზვირთებულმა რევოლუციონერმა მასსამ, მრავალ სოფლებში გამოუცქერა კარები ეკლესიებს და სამღვდლეობა განდევნა მემამულეებთან ერთად. ჯერ კიდევ მაშინ ხალხის ფართო მასსა შეგნებულად გაურბოდა „ზიარებას“, და წირვას, ვინაიდან ის ხედავდა თვალაიმაქობას, ხედავდა, რომ მას ატყუებდნენ უსინდისოდ და დაუფარავად. ხალხის გამოდნობლებას დიდათ შეუწყობ ხელი ერთის მხრივ 1905 წლის რევოლუციამ, ხოლო მეორე მხრივ თვით სამღვდლეობამაც.

ცნობილია, რომ სამღვდლეობა იცავს იმ წყობილებას, რომელიც მის ინტერესებს უზრუნველყოფს და რომელიც ჰქმნის მის არსებობისათვის საუკეთესო პირობებს.

ამ შემთხვევაში ის დიდათ არ დავიდეთ ქრისტის მცნებებს. ქრისტის ისინი მათ სასახურში გამოიყენებენ ვინც მეტად შეასქელებს მათ ჯიბეებს, ხოლო ჩვენში სამღვდლეობებს უკეთესი მემარცხენე და მწყალობელი თვითმპყრობელობა იყო თვითვე.

თვითმპყრობელობა დაინტერესებული იყო იმაში, რომ ხალხი ბნელაში ყოფილიყო. ის მთელ რიგ ღონისძიებას მიმართავდა, რათა ხალხის ფართე მასაში არ შეგნათებია განათლების და ცოდნის შექმ, ვინაიდან მან იცოდა, რომ ბნელი მასა საუკეთესო მობრძილი მონა იყო. და აი ამ საქმეში, ხალხის დამორჩილებაში დიდ სამსახურს უწევდა ცარიზმს სამღვდლეობა. განათლების, ხალხის გაათვითცნობიერების წინააღმდეგი ყველაზე უწინ სამღვდლეობა იყო. რელიგიურ ბურჟუაზი სუბ-ბურჟუაზი განათლების შექმის შენათებისთანავე ხალხის გათვითცნობიერებული გონება სწრაფლად გაერკვეოდა მის შინაგან ბუნებაში და ამით სამღვდლეობას თავისუფლად თარეშის საშუალება მოეპოვოდა, ამიტომ ინტერესთა იგივე

ობამ მოგვცა წარსულში თვითმპყრობელობა და „სარწმუნოების“ „წმინდა“ კავშირი. ამიტომ იყო, რომ სამღვდლოება ორგანიზებად ვერ ინვლდება 1905 წლის რევოლუციის და ხშირად მეფის ობრანკის ავანტია შორი-უპირველეს ადგილი ეჭირათ.

ისინი თავგამოდებით ებრძოდნენ რევოლუციონერებს, იმათ, ვისაც ხალხში შეგნებისა და გამოუხიზლების შუქი შეჰქონდა.

მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ ჩვენი ხალხი უკვე ხელაღება სამღვდლოების „წმინდა“ საქმეებს. ჯერ კიდევ მაშინ მათ ზურგი უჩვენა მშრომელმა მასამ, შესწყვიტა საკურთხების მიტანა, შეუწყვიტა მღვდლებს ჯამაგირები, შეგნებულ ბოიკოტს აწარმოებდა მათ წინააღმდეგ.

და აი, როდესაც სამღვდლოების „ღვთის მსახურ კაცთ“ შემოაყვლიდა შემოსავალი, ვინაიდან ხალხი განზე გადავა, ისინი უტიფრად მიმართავენ მცხოვრებლებს, უკანასკნელ საჩირო-საბადებელს ართმევენ „დრამის“ ფულში და მათ ნებით თუ არა ძალით მაინც მორჩილებაში მოყავთ „ბრიყვი“ ხალხი.

რასაკვირველია, ყველაფერი ამის შემდეგ იმათაც კი დაინახეს სამღვდლოების თვალთმაქობა, ისინიც კი დარწმუნდნენ იმაში, რომ სამღვდლოება რჯულსა და სარწმუნოების ამოფარებული მეფის ერთგული „სტრატეგები“ იყო, ვისაც ჯერ კიდევ ნაპერწკალი რწმენისა უღვივოდა გულში.

ყველაფერი ამის შემდეგ აშკარა შეიქნა ის, რომ სამღვდლოება ხალხის მოსისხლე მტერთა ბანაკში იყო. 1917 წლის რევოლუციამ სამღვდლოებას გამოაცალა ფუძე თვითმპყრობელობის სახით, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენში მათ გასავალი საკმაოდ დიდი ჰქონდათ. რა თქმა უნდა, ამაში ჩვენ ყოფილ მთავრობასაც უდიდ წილი ბრალი მიუძღვის. იმის მიგვიერ, რომ მათ გაერიყათ ეს პარაზიტები, ჩამოეცილებიათ ხალხის ტანადან ზედმეტი ხორცი, რომელიც სისხლიდან სცილიდა მას რამოდენიმე საუკუნოების განმავლობაში, ჩვენმა ყოფილმა მთავრობამ, თავზე ხელის სხა დაუწყო მათ...

მაგრამ დღეს უკვე საბჭოთა ხელისუფლება მათ წინააღმდეგ შეგნებულ და სისტემატიურ ბრძოლას აწარმოებს. რა თქმა უნდა ეს ბრძოლა არ არის ადმინისტრაციული ხასიათის ბრძოლა, აქ არ აქვს ადგილი სარწმუნოებისათვის დაქვრას, ან რაიმე ძალდატანებას, წინააღმდეგ, რწმენის სრული თავისუფლება არის დამუფებული, მაგრამ ამავე დროს სასულიერო წოდება ჩამოცილებულია ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფოსაგან, მათ აკრძალული აქვთ შკოლების ახლო გაქაპუნება, მათ შეუწყვიტა სახელმწიფომ ჯამაგირი.

გარდა ამისა ხელისუფლება პრობავანდა-ავიტაციის საშვალებით არკვევს სარწმუნოების ნაშღვლი წინააღს და საფუძვლებს, და მათ დიდდა უწყობს ხელს მშრომელი მასის განთავისუფლებას რელიგიური სუბმურისაგან. რელიგიური შედეგები უკვე გვაქვს. თითქმის მთელი საქართველოში ეკლესიების უდიდესი ნაწილი დაიხურა და იქ, სადაც ასეულ წლებს განმავლობაში ხალხს ატყუებდნენ, თვალს უხევედნენ, დღეს ახალი ტიპები გაიხსნა—ტაძარი ცოლენისა და განვითარებისა. მთელი რი-

ვი ეკლესიებისა გადაკეთებულია კლუბებით და სკოლებით. მშრომელი მასა თანდათან იცილებს მღვდლებს და ხელს კიდებს სწავლავანითარებას.

ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელ ხალხს ბევრი რამ მისცა, ბევრი რამ გაუკეთა, უპირველეს ყოვლისა მან ხელმძღვანელობა გაუწერა მშრომელი მასის წყურვილს სამღვდლოების ყმობისაგან განთავისუფლებისა.

ეკლესიის ნაცვლად—სკოლა: რელიგიური სუბმურის ნაცვლად სალი სწავლავანათლება—აი ის მიზანი, რომლისაკენ მიიღტვის მშრომელი მასა.

საბჭოთა ხელისუფლება და კომპარტიაც ღირსეულად უძღვება მას.

ამ მხრივ დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ბეჭდვითი სიტყვას, პრობავანდა-ავიტაცია, ცოცხალი სიტყვა, ერთი წუთითაც არ უნდა შესწყდეს.

ჩვენი ქვეყნის მესაქეს, კომპარტიას კარგათ აქვს ეს შეგნებული.

რელიგიის წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური ბეჭდვითი ორგანოს გამოცემაც სწორედ იმის დამამტკიცებელია, რომ საქმე ბოლომდის იქნება მიყვანილი.

საკიროა მხოლოდ რამე ეს ახალი ორგანო „ღვთის წინააღმდეგ“, რაც შეიძლება მეტი გავრცელდეს, განსაკუთრებით სოფლებში, ყრუ და მივარდნილ ადგილებში, სადაც მეტია ჯერ კიდევ გავლენა სამღვდლოებისა.

ამ მხრივ კომპარტიას მეტი ენერჯის დახარჯვა მოუხდება, მაგრამ, რაც არ უნდა დაჯდეს რელიგიური სუბმური უნდა ძლეულ იქნეს სალი მეცნიერების მიერ.

ეს ასეც ხდება და შემდეგშიც მოხდება.

კლდე.

## საღარაჯოზე.

როგორც ვიცით, ამ მოკლე ხანში, გერმანიაში რევოლუციონერი ცეცხლი თითქო შეენელდა. ისიც ვიცით, რომ პოლონეთის გაფიცვები და კრაკოვის აჯანყება, უკიდურესი სისასტიკით ჩააქვრეს. ათობით და ასობით იჭერენ მუშებს, ჯარისკაცებს და სახრჩობელათი უმსპინძლდებიან, ჩვენი მტრები სიხარულით ცას სწვდებიან და გაიძახიან: „გერმანიის რევოლუცია დამარცხდა, პოლონეთში კი რევოლუციონერი მოძრაობა ძირიან-ფესვიანათ „აღმოიფხვრა“-ო. მაგრამ სიხარული და ზემი ნაადრევეა... ფონი გასავალს არის. აქაურ ნაძირალბემაც წამოაყვეს თავი და სიხარულით უცდიან, როდის მოადგებიან ალვირ წახსნილი, გარყვნილი ფაშისტური ბანდები საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კარებს და როდის მოუღებენ ბოლოს მუშათა ოჯახს, რომელიც ორგანიზულათ ვერ მოუნელებიათ.

როგორ შეიძლება საწყლები, რევოლუციონერი ალი არც გერმანიაში შენელებულა და არც პოლონეთში ჩამკვდარა. რევოლუციისთვის მუშაობა გაათკეცებული ენერჯით მივინარეობს და შორს არ არის ის ნეტარი დრო, როდესაც გერმანელ-პოლონელების მუშების დაკორეიანებული ხელები, გულ-წრფელად ჩამოერთმევა უზარმაზარ საბჭოთა კავში-

რების მუშებს. ჩვენი მტრები ტყუილად ოცნებობენ რევოლუციის დამარცხებაზე. იქ ეხლა მხოლოდ შესვენებაა, ძალების გადახალისება და მუშათა რიგების გამოფხიზლება. იქ ეხლა ორგანიზაციული მუშაობა მიდის ერთიან მუშათა ფრონტის შესაქმნელად და დღეს ხდება უდიდესი ისტორიული მოვლენები მუშათა ცხოვრებაში. დღეს მუშები თითონ იკაფევენ გზას თავის ბედის გასაუმჯობესებლად და ორ ბანაკად იყოფა მსოფლიო: ბურჟუაზია—პროლეტარიატი...

და ჩვენი გაჯიუტებული ყოფილი ამხანაგებიც პირველ ბანაკისკენ მიეშურებიან..

ჩვენ, როდესაც ბურჟუაზიასთან თანამშრომლობაზე უარი ვსთქვით და ახალი გზა ავირჩიეთ, ჩვენ ამხანაგებთან სათანამშრომლოთა, ავანტიების და მოლაღატების სახელით მოგვნიათეს.

მაგრამ არაფერია, თუ ბურჟუაზია, თავის აქრულბულ ძალებს აძლიერებს, ჩვენი ყოფილი ამხანაგების შემწეობით, არც ჩვენ გვიძინავს ჩვენც გაასკეცებულ ენერჯით ვაძლიერებთ ჩვენ რევოლუციონერ რიგებს, გამოზრამედილ ამხანაგ მუშების დიდ ოჯახს ვემატებით ჩვენი შეგნებით და გამოცდილებით და შეტევაზე გამოსულ ბურჟუაზიას თვით კონტრ-შეტევით ფუპასუხებთ.

ჩვენი ძალები ეს წმინდა პროლეტარული ძალებია... ჩვენი ძალები უმანკო პატიოსნების, ერთობის და სიმართლის მატარებელია.

მათი კი ეს ნაყარ-ნუყარა, აქრულბული ხალხია: ომით უსაქმოდ ვარიყული, ან რევოლუციით განაწყენები. ტყუილათ აღრე მიცემიხართ სიხარულს.

გერმანიის და პოლონეთის პროლეტარიატის რიგების გადახალისება რევოლუციის გათავებას კი არ ნიშნავს, არამედ ეს არის: „Затем-шье перед нами“ და იმ ისტორიულ მანერების დროს, ცენტრალურ ევროპაში, ჩვენც, აქ, გაასკეცებულ ენერჯით გვმართებს მუშაობა, გაფანტულ, განზე გამდგარ ამხანაგების თავმისაყულობა.

ფრთხილად უნდა ვიღვთ რევოლუციის საღარაჯოზე. ამ ისტორიულ მომენტში არც ერთი მუშა და გლეხი არ უნდა დაგვჩრეს, რევოლუციონერ რიგებს გარეთ. გერმანია—პოლონეთის რევოლუცია ამისკენ მოგვფოდებს. გაასკეცებულ სიფრთხილით და ყურადღებით წინ საღარაჯოზე და ვაერეთიანებულ რკინის დისცილინით ჩვენ გამარჯვებული გამოვალთ მომავალი ბრძოლებიდან.

ილიკა ჯუღელი.

## სოციალისტური ნიღბი.

მენშევიზმი, რომ გახდა რევოლუციონერ მუშათა-კლასის მოძრაობის შემფერხებელი, ეს უკვე საერთოდ ცნობილი ფაქტია, რომელიც დღითი-დღე, რამდენათაც რთულდება კაპიტალთან ბრძოლა, უფრო მეტი სიმძაფრით-სიმკვეთრით აშკარავდება მისი „სოციალისტური“ ნიღაბი-გამცემლობა.

გერმანიის თანამედროვე ამბები ამის ნათელი მეტყველია.

მენშევიზმი არ არის მოვლენა საერთაშორისო ხასიათის, სიტყვის ნამდვილი გაგებით

და, რასაკვირველია, ვერც შექმნიდა ინტერ-ნაციონალურ მუშათა ორგანიზაციას, რომელსაც შეეძლო შემოეკაპიტალირებინა. ეს ასეც მოხდა. რომ მისი „წითელი“ დროშა არსებობდა, ათასი უტყუარი ფაქტების დამოწმებით, არის ყვითელი, და „სოციალისტური“ სიტყვა უარესად შოვინისტური, ავამტყვევლოთ ფაქტები: ბურჟუაზიის თვითმკვლელობის შავი დოკუმენტი 1914 წლის ომი ფაქტიურად შეიქმნა მუშათა ოჯახის მთლიანობის შემრყევი.

თითქმის ყველა ქვეყნის „გამოჩენილი სოციალისტები“ გამოვიდნენ „სამშობლო“ დაცვის როლში მენშევიკების სახით და ემსახურებოდნენ, (ემსახურებიან დღესაც) მის განკურნების გამოთვლებს საქმეს და იღვრებოდა სისხლი მუშათა კლასის ხარჯზე.

უფრო ახლო: ამიერ კავკასიაში მენშევიზმმა გააჩაღა „სამშობლო“ და საერთაშორისო მუშათა კლასის „საკეთილდღეობ“ ეროვნული ომები და ავტორიტარული მუშების და გლეხების სახლ-კარი.

კომუნისტი ვინმეს თუ სძულს ან უყვარს, ეს როგორც „კომუნისტი“, და არა რომელიმე ერის შვილი, მენშევიზმი კი ფასდება დაკონკრეტულ ეროვნული საზოგადოებით. ეს გარემოება საკმაოდ ნათელ ყოფს მენშევიზმის ვიწრო შოვინისტურ ბუნებას და სოციალისტურ ნიღაბს, რომელშიაც პრეტყლ-პრეტყელი დაპირებებით ევლინება ხალხს და აღუვივებს მშრომელთა შორის შუღლს და მტრობას.

დროა, მუშებმა და გლეხებმა ღია თვალით და მუშური გონებით აწონ-დაწონონ ყოველი ეს და სათანადო განაჩენი გამოუტანონ. დროა მათ შეიგნონ, რომ საერთაშორისო მებრძოლ, მუშათა კლასი კლასიური პოზიციაზე შესმატებულიყო ეროვნულ თანხმობით კავშირდება კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ და შრომის განთავისუფლებაც მოხდება მისი რიგების განმტკიცებით.

წინ, ამხანაგებო ნამდვილ გზისაკენ!  
**ნ. ინახარიძე**

**საქ. ურჯილი დემ. მთავრობა და მის იგვლივ უკამათოილუბანი თვით სოც.-დემ. პარტიაში.**

(მოგონებანი)  
**IV**

დიდი აურ-ხაური გამრიფვია საქართველოს რესპუბლიკის ღერძმა.  
 მემარჯვენე პარტიებმა საქ. საკანონმდებლო დაწესებულებაში წარმოადგინეს თეთრი გიორგის პროექტი.

თითქმის ყველა პარტიულ ორგანიზაციებში გაისმა პროტესტის ხმა თეთრი გიორგის წინააღმდეგ.

თეთრი გიორგი—საქართველო—რევოლუციონ... რა კავშირი იყო ამ სიტყვებში? საქართველო თეთრი გიორგის ქვეყანა... თეთრი გიორგი ლეგენდარული პიროვნება იყო, საქართველოში ის წმინდანათ იყო აღიარებული...

ძველი რელიგიოზური ქართველობა დიდ პატივს სცემდა გიორგის.

არსდ არაა ისე გავრცელებული სახელი გიორგი, როგორც საქართველოში.

არც ერთ ქვეყანაში არაა იმდენი ეკლესიები წმიდა გიორგის სახელობაზე, როგორც საქართველოში.

სახლგარ გარეთ საქართველოს სახელი არის გიორგის ქვეყანა.

ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ რა საქირო იყო რევოლუციის დროს, როცა ძველი კრებები ინგრევა, ისაბო, აღდგენა რელიგიოზური და ლეგენდარული კულტის? ძველი ქართველობა ერეკლე მეფესაც დიდ პატივს სცემდა.

მაგრამ ეს გარემოება გვაძლევს ჩვენ უფლებას, რომ დღეს ერეკლე მეფის სახელი დავარქვათ ქუჩებს, დაწესებულებებს და სხვა?.. ჩვენ წინ მივიდებით და არა უკან...

მაგრამ ამას ვინ აქვეყნა ყურადღებას? დემოკრატიული მთავრობა მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ანტანტის გული მოეგო.

ანტანტს კი სრულგზით არ ესიაპოვნებოდა, რომ ჩვენს ღერბი ყოფილიყო რევოლუციის გამოსახვა. ამიტომ მიიღეს თეთრი გიორგის ღერბი. პარტისტის ხმა, გამოძახილი პარტიის ქვედა ფენებიდან, ჩაქრობილ იქმნა ზედაფენების მიერ.

და დამფუძნებელმა კრებამ, მიუხედავად იმისა, რომ სოც.-დემ. ფრაქციის წინეთ მიჯაჭვული ამირანი ქონდა მიღებული ღერბათ, მაინც, რაღაც მახინცივებით, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისავე აქტიური მონაწილეობით მიიღო თეთრი გიორგის ღერბი.

რასაკვირველია, ამ მოვლენას დიდი სისარულთა შეხედა რეაქციონური და კონსერვატიული ნაწილი საზოგადოებისა, ხოლო რევოლუციონური მუშები და მშრომელი გლეხობა კი დარჩა ნაწყენი...

**V.**

1920 წლის დასაწყისში მთავრობამ დაადგინა ტფილისის განტვირთვა უცხო ელემენტებისგან.

აქედან უნდა ვადაესახლებათ ყველა ის, ვინც ტფილისთან არ იყო დაკავშირებული სამუშაოთი, მრეწველობით, ვაჭრობით და სხ. ტფილისის ყველა უბნებში შედგა მკრეფ წოდებული განმტვირთავი კომისიები, რომლების თავმჯდომარეებათ იყვნენ ტფილისის საბჭოს ხმოსნები.

როცა ფრაქციის სხდომაზე ეს საკითხი იყო დასმული, იქ უმთავრესად ლაპარაკი იყო სპეკულიანტებზე, მუქთა-ხორებზე და საზოგადოების ხორცმეტებზე. რომელთა მოშორება საქირო და სასარგებლო იყო.

მაგრამ რა შედეგი მოყვა ამ დადგენილებას? არც ერთი სპეკულიანტი არ იქნა გადასახლებული.

კომისიების დადგენილებანი მათ გადასახლების შესახებ უქმდებოდა და ხორცმეტები რჩებოდნენ ტფილისში.

სამაგიეროდ გადასახლებულ იქმნენ აუარებელი უმუშევრები, ფეხზე მომუშავენი, დღური ლუქმის შემყურე ხალხი, რომლებსაც განსახლურული სამუშაო არ ჰქონდათ, მაგრამ გაცილებით უფრო ცუდ პირობებში იმყოფებოდნენ, ვიდრე ქარხნის მუშა.

80 პროცენტი გადასახლებულთა აღმოჩნდა სარდაფების მცხოვრებნი.

როცა გაუყეთეს ამ კომისიების ნამუშევრის ჯამი, საშინელი, გულის შეშნარავი სურათი წარმოსდგა ჩვენს თვალწინ.

ამ კომისიებს თურმე ვადაესახლებია მშრომელი ხალხი, უმუშეონი, უმუშევარი, ვაჭაღ-ტყავებულნი, რომელნიც უბინაობის გამო სარდაფებში ცხოვრობდნენ.

რაც შეეხება ერევნის მოედნის „ედიტორიკებს“, სპეკულიანტებს, ესენი კი თავისუფლად განაგრძობდნენ სეირნობას.

როცა ამის შესახებ ფრაქციაში უკმაყოფილება გამოსთქვეს მუშებმა, ნოე რამიშვილი ირონიით ამბობს:

— ჩვენთვის საშიში სპეკულიანტები კი არაა, არამედ სწორედ რუსეთელი, ადრებეიჯანელი და სომეხი მუშები, რომელმაც შეუძლიანთ აჯანყების მოწყობა. სპეკულიანტები კი ვერავითარ აჯანყებას ვერ მოგვეწყობსო.

ფრაქცია არ დარჩა უკმაყოფილი ასეთი განცხადებით.

და ერთ მშვენიერ დღეს ამ კომისიების მუშაობა შეწყდა, ეინაბად მათი მუშაობა მეტად ყალბი ვზით მიიღოდა და ჩირქს სცხებდა მთელ რევოლუციონურ მოძრაობას.

ა. რ.

**ფაშოვიზმი ბაკოსის წინააღმდეგ.**

გერმანიის ფაშისტებმა თავის უკანასკნელ დეკლარაციაში გამოაცხადეს ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ. ეს როდია გასაკვირი, პირიქით, ეს ბუნებრივი მოვლენაა.

ფაშიზმი წმინდა ბურჟუაზიულ-რეაქციონური მოძრაობა და ამიტომაც მისი ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ არსებითად წარმოადგენს ბრძოლას იმპერიალისტური კაპიტალიზმის და პროლეტარული სოციალიზმის შორის.

მაგრამ აქ საინტერესო და ყურადსაღებია ის გარემოება, რომ აი ამ ბრძოლაში გერმანიის სოციალ-დემოკრატია, რომელიც წარმოადგენს დედა-ძარღვს 2-ე ნაციონალისტურ ინტერნაციონალისა და თანამედროვე გარდამავალ პერიოდში ხელს იღებს ყოველგვარ კლასობრივ-პოლიტიკური ბრძოლის წარმოებაზე, —გამოდის ბრძოლის ავანსცენაზედ არა ფაშიზმის და რეაქციის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ვზით თვით უერთდება ამ ფაშიზმს რევოლუციის და მარქსიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

ფაშიზმი, როგორც კონტრ-რევოლუციონური ტენდენცია და ბურჟუაზიული მოძრაობა, მისწრაფვის თავისი კლასიური დიქტატურის განმტკიცება—განვითარებისა და კაპიტალისტური სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობის გამარცხებასკენ.

მაგრამ ფაშიზმი, რომელიც წარმოადგენს კაპიტალიზმის საბოლოო სიტყვას, ისტორიულ-ეკონომიური აუციულებლობის ძალით სარსიკდილოდ განწირულია. მას ვერ უშველის ვერც სოციალ-დემოკრატისთან გაერთიანებული ფრონტი და ვერც აქტიური-რეპრესიული ბრძოლა მუშათა კლასის წინააღმდეგ.

პირიქით, ეს მომენტი უფრო მეტად ანვი-  
თარებს კაპიტალიზმის წინაგან წინაღმდეგო-  
ბებს.

და, როგორც ვიცით, გერმანია, რომელიც  
უკვე დიდხანია, რაც შევიდა სამოქალაქო  
ომის პერიოდში, დღეს თუ არა ხვალ უთუ-  
ოდ გამოიწვევს საბჭოთა რევოლუციას.

გერმანიის კომპარტია, რომელიც წარმოად-  
გენს მარქსისტულ ფრონტს და სდგას 3-ე  
კომინტერნის დროშის ქვეშ, აწარმოებს ენერ-  
გიულ დაუნდობელ ბრძოლას პროლეტარია-  
ტის დიქტატურის და სოციალიზმისათვის.

გერმანიის კომპარტიის და რევოლუციო-  
ნური მუშათა კლასის ვაფთოებული ბრძო-  
ლით თანდათანობით კიდევ ინგრევა კაპიტა-  
ლისტური წესწყობა და ირღვევა იმპერია-  
ლისტური ფრონტი და აი ამ ბრძოლის  
პროცესში პროლეტარიატის განმანათლებლ-  
ებელი ბრძოლა კიდევ უფრო ღრმავდება.

გერმანიის რთული და აწეწილ-დაწეწილი  
მდგომარეობა, მწვავე ეკონომიური კრიზისი,  
საშინელი ფინანსიური კატასტროფა, მუშათა  
კლასის გარშემო უმწეო და აუტანელი მდგო-  
მარეობა სამუშაო ხალხის დაწვეის და სა-  
მუშაო დროის გადიდების სახით, საფრანგე-  
თის იმპერიალისტური კაპიტალის ანექსია-კო-  
ნტრიბუციის პოლიტიკა, რურის ოკუპაცია და  
მით გერმანიის ეროვნულ-დამოუკიდებლობა-  
სუვერენობის ფეხ-ქვეშ გათავლება, — ყოველივე  
ეს, რომელიც იწვევს „აღშფოთებას“ და რე-  
ვოლუციონურ ენტუზიაზმს გერმანიის პრო-  
ლეტარიატში, ამწვავებს კლასობრივ-პოლი-  
ტიკურ ბრძოლას მუშურ-გლეხურ ხელისუფ-  
ლების და საბჭოთა რევოლუციისათვის.

ბოლშევიზმ - კომუნისმის ახრდილი თავს  
დასტრიალებს გერმანიას.

დღეს, უდავოა ის გარემოება, რომ გერმა-  
ნია რევოლუციის მოლოდინშია.

როგორც ვიცით, იქ მთავრობა მთვრობა-  
ზედ იცვლება, პატარა კოალიცია დიდი კოა-  
ლიციით ან ერთფეროვან ბურჟუაზიული მთა-  
ვრობით, მაგრამ მიუხედავად ამისა გერმანია  
თავს ვერ ახწვეს ანორმალურ და კრიტიკულ  
მდგომარეობას.

პირიქით, უფრო მეტად და მეტად მწვავე-  
დება სოციალ-ეკონომიური ანარქია. გერმა-  
ნიის ჩინში ამომწყვეტულ მდგომარეობიდან გა-  
მოსავალი გზა და მისი ხსნა მხოლოდ ერთად  
ერთია, ეს არის გზა პროლეტარიატის დიქ-  
ტატურისა.

აი ამ მიმართულებით გერმანიის პროლე-  
ტარიატი კომუნისტურ ინტერნაციონალთან  
ერთად კიდევ აწარმოებს გმირულ და ენერ-  
გიულ ბრძოლას.

და აი გერმანიის მუშათა კლასი ამ სოცია-  
ლური რევოლუციის ბრძოლის პროცესში,  
დღეს თუ არა ხვალ უთუოდ მისივე დაიმარ-  
ცხებს და აღმოფხვრის ფაშიზმს, იმ ფაშიზმს,  
რომელიც სუბიექტია იმპერიალისტური კაპი-  
ტალიზმისა.

ასე რომ, მართალია, ფაშიზმი დღეს აცხა-  
დებს ბრძოლას მარქსიზმის წინააღმდეგ და ამ  
მიმართულებით ის იწყებს კიდევ შესაფერის  
ორგანიზაციულ - პოლიტიკურ დარაზმასაც  
თავისი საბოლოო გამარჯვებისათვის, მაგრამ  
ამაოდ, გერმანიის პროლეტარიატი, რომელიც

იწვრთნება მორალურად, იზრდება ორგანიზა-  
ციულად და მით ამტკიცებს რევოლუციო-  
ნურ მარქსისტულ ფრონტს საბჭოთა რევო-  
ლუციის და პროლეტარიატის დიქტატური-  
სათვის, — დღეს თუ ხვალ ფაშიზმს და მასთან  
თანამშრომელ სოციალ-დემოკრატის ჩასკემს  
სასიკვდილო მახვლის ისე, რომ მით საბოლო-  
ვოდაც განადგურდეს საერთაშორისო ფაში-  
ზმის და 2-ე ინტერნაციონალის ოპორტიუნის-  
ტული თაროები.

**შ. ანდელუაძე.**

**ხვალ პროვინსიიდან.**

ჯერ კიდევ გვიან არ არის.

დღედაღამის ერთ მეექვსედ ნაწილზე, რუ-  
სეთში ავერ ექვს წელზე მეტია ბატონობს  
პროლეტარიატის დიქტატურა ე. ი. ბატონობს  
მუშათა და გლეხთა ხელის უფლებზე.

მთელი დასავლეთი ევროპა სდგას დიდი  
სოციალური გარდაქმნების წინაშე. ცხოვრე-  
ბის აუცილებელმა პირობებმა წამოაყენა სო-  
ციალიზმის აუცილებელი განხორციელება.  
ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შორის არ-  
სებობს ბრძოლა სამკედრო სასიცოცხლო. გერ-  
მანიის პროლეტარიატი უკვე ჩაება სამოქა-  
ლაქო მწვავე ბრძოლაში. ბულგარეთის და პო-  
ლონეთის მუშათა აჯანყებულებს სისხლში აღ-  
ჩაობენ. აი ამ დროს რას აკეთებს ს. -დემო-  
კრატია!. ამათ უსირცხვილოთ ულატატეს მუ-  
შათა კლასს. იმათ ხელები გაისვარეს მუშათა  
უმანკო სისხლში. გერმანიაში ფინანსიური კა-  
პიტალის ავტორი ცნობილი გილფერდინგი და  
შტრეზმანი — ბურჟუაზიის იდეოლოგი, ორი-  
ვენი ერთად მოუწოდებდნენ ჯარს მუშათა ბა-  
ნაკის განსაღებურებლათ. ვინ გაანადგურა  
ბულგარიის მუშათა ბანაკი? ბულგარიის ს. -დემო-  
კრატია და რუსეთიდან გაქცეულმა შავმა  
ყორანმა ვრანგელმა. მოიგონეთ პოლონეთი,  
კრაკოვის აჯანყება და სხვა. ყველგან მოლა-  
ტე გამოჩნდა ს. -დემოკრატია. ყველა ეს  
უნდა მოვავრონ ბარიკადის იქით მყოფ მენ-  
შევიკებს. ასეთ გადაწყვეტ დროს ჰკითხონ  
თავიანთ თავს: სად და ვისი გვერდით არიან,  
ვის წინააღმდეგ ილაშქრებენ? ჯერ კიდევ  
გვიან არ არის გონს მოხვიდეთ, მიხედ-მოი-  
ხედოთ, გადაათასოთ წარსული, გაითვალისწი-  
ნოთ მომავალი, ღრმით ჩაუკვირდეთ ცხოვრე-  
ბას. თუ ჯერ კიდევ არ გამჭრალა თქვენში  
სოციალიზმის სიყვარული და თუ თქვენში  
არსებობს რევოლუციონური სული, უნდა  
დაადგეთ მუშათა გაერთიანების გზას და დად-  
გეთ მე-III ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

**მ. გალდავაძე.**

**დაშნაკელების დაუღა.**

დაშნაკუთიუნის პარტია, რომელსაც მთე-  
ლი სომხობა თავის უდავო საკუთრებათ მიაჩ-  
ნდა და რომელიც 30 წლების განმავლობის  
თავის „სოციალისტურ მოღვაწეობით“ მხო-  
ლოდ და მხოლოდ ამწარებადა სომხურ მშრო-  
მელ ხალხის სიცოცხლეს, დღეს სამუდამოდ  
იმარხება ერევანში. დაშნაკუთიუნი ეს ის პარ-

ტია გახლავთ, რომლის შავ საქმიანობის წყა-  
ლობით სომხის გლეხ-კაცობა და მშრომელი  
მასსა ჩამოშორებულ იყო რევოლუცი. მუშათა  
კლასს და ჩამბული იყო განუწყვეტელი ომი-  
ანობაში მეზობელ თათარ მოსახლეობებთან და  
გადამტერებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა  
დანარჩენ მეზობელ სხვა ერებთანაც. ვის არ  
არ ახსოვს 1907 წელის შავი დღეები, როდეს-  
აც ზანგეზურ-ერევნიდან დაწყებული ბაქო-  
თბილისამდისინ ყველგან სწარმოებდა სომეხ-  
თათართა უმგვანო შეტაკებები და იღვრებო-  
და ზღვით გადაქცეული ძმათა სისხლი. მაგრამ  
ეს ხომ უფრო შორე წარსულს ეკუთვნის, შე-  
ვებით შედარებით უფრო ახლო ისტორიას  
დაშნაკელების „მოღვაწეობისა“... ეს იყო ნა-  
თი „მეუბობის“ ხანა. რას წარმოადგენდა სა-  
ცოდავი სომხეთი დაშნაკუთიუნის ერევნის  
„მთავრობის“ დროს... გაცარკულ-დამწვარი  
სოფლები, გალტაკებული ხალხი და ერთი მე-  
ორის სისხლის დასაღვევად დარაზმული სომეხ-  
თათარი მოსახლეობა. აი მოკლე სურათი მა-  
შინდელ სომხეთისა... სწორედ ასეთ ტრა-  
დიკულ დროს დამყარდა მუშა-გლეხთა საბჭო-  
თა მთავრობა სომხეთში, გაჰფანტა ყველა შა-  
ვი ძალები, მტრობის მაგივრად შემოიღო მშვი-  
დობიანობა და შეუდგა აღმშენებლობითი მუ-  
შაობას. და აი დღეს, ამ გვარ საქმიანობის  
სამ წლის თავზე სომხის მშრომელი მასსა სანი  
წლის დაკვირვების შედეგად დარწმუნდა სა-  
ბოლოვოდ იმაში, რომ სოციალიზმის ნიღბ  
ქვეშ ამოფარებული დაშნაკუთიუნი აკეთებდა  
არა სოციალისტურ, არა მუშურ-გლეხურ საქ-  
მეს, არამედ ემსახურებოდა ბურჟუა-იმპერია-  
ლისტურ ძალებს და სამარტს უთხრიდა მუშებს  
და გლეხებს... მაგრამ ამ სამარტში მოჰყვა თვით  
დაშნაკუთიუნი, რომლის საბოლოო დასამარ-  
ხავად დღეს ერევანში თავი მოუყრა სომხის  
სხვა და სხვა კუთხეებიდან გამოგზავნილს რწმუ-  
ნებულებს...

20 ნოემბერს ქალაქ ერევანში გაიხსნა  
სრულიად სომხეთის ყოვლი დაშნაკელები  
პროლომა, რომელმაც უარჰყო და დაშ-  
ლილად გამოაცხადა ის პარტია, რომე-  
ლიც შხამით სავსე მუშუტს წარმოადგენდა  
სომხის მშრომელ ხალხის სხეულზე და მთელ  
30 წლებს განმავლობაში ამწარებად მის სი-  
ცოცხლეს...

ყრილობის მომწვევ ბიუროს შემადგენლობა  
შესდგება 16 კაცისაგან, აქვს თავის ორგანო  
„ორაბერ“ის (მოამბე) სახელწოდებით, რომლის  
პირველი ნომერია ჯერჯერობით გამოსული.  
ამ უტონალ-ში მოთავსებულ ცნობებიდან სჩანს,  
რომ ჯერ ყრილობის გახსნის წინააღმდეგ ჩამო-  
სულა წარმომადგენლები შენდევნი ადგილე-  
ბიდან:

- 1) ზანგეზურიდან — 9.
- 2) ლაფანიდან — 7.
- 3) სისიანიდან — 12.
- 4) მეღრიდან — 5.
- 5) ერევ-  
ნიდან — 5.
- 6) თავრიზიდან — 4.
- 7) ახალ-ბანი-  
შეთიდან — 19.
- 8) ახალ-ახტიდან — 14
- 9) ეჩმია-  
წინის მაზრიდან — 40.

დაშნაკელების პარტიიდან გამოსულ წევრე-  
ბის რიცხვი ამავე უტონალში მოთავსებულ ცნო-  
ბის თანახმად 3,300 ია ჯერჯერობით, მაგრამ  
ეს გამოსულების მცირე ნაწილს შეადგენს მხო-  
ლოდ, დანარჩენი დიდიმეტყვება თანდათანობით.  
არის რამდენიმე მიღვლემებიც პარტიიდან გამო-  
სულელებში.

„ალსანიშნავია ის გარემოება, რომ 900 წევრი მხოლოდ ოსმალეთის ქალაქ სასუნდან არის, რომელიც ითვლებოდა დაშნაკელების სიმაგრეთ.“

„რეგნიდან მიღებულ დებუებში გადმოგვცემენ, რომ ყრილობას ერთხმათ მიუღია რეზოლიუცია, რომლითაც სრულიად დაშლილთა გამოცხადებულა დაშნაკელების პარტია. მისი ყოფილი წევრები აღიარებენ მესამე ინტერნაციონალის პლატფორმას. ამას გარდა უქმდება ყველა ის მანდატები, რომელითაც შეიარაღებულია დაშნაკელი ემიგრანტები სახლვარ გარეთ და იმპერიალისტებთან განაგრძობენ „მეზავრობას“ და ლაპარაკობენ სომხის მშრომელ მასსის სახელით „არავის და არსად არააქვს უფლება ჩვენის სახელით ლაპარაკისო. აი ყრილობის უკანასკნელი სიტყვა.“

ძველი მუშა.

### ჩვეულებრივი სასამართლო.

ქართულმა პრესამ ყურადღება მიაქცია სასამართლოს საკითხს. „კომუნისტმა“, „მუშამ“, „ტრიბუნამ“ აღნიშნეს ის დიდი საქმე, რომელიც ჩატარებულია სასამართლოს მშრომელი ელემენტებით დაპყრობის სახით. ორმა უკანასკნელმა გაზეთმა თავისი აზრი გამოთქვა ვეჭილების შესახებ.“

„მუშამ“ აღნიშნა, რომ ვეჭილებათ მუშები უნდა შეეცვაწათ სასამართლოში, მუშებმა უნდა დაიჭირონ დღევანდელი ვეჭილების ადგილი და დაეხმარონ იქ მუშა მოსამართლეებსო. „ტრიბუნამ“ უფრო სიფრთხილით მოლაპარაკებდა ამ შექმენი პრიციპი წარმოადგინა: უნდა დარჩეს არსებული, მართალია მეტად მცირე ნაწილი დღევანდელი ვეჭილების, რომელნიც ურიგდებიან მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს და გულწრფელად მუშაობენ მშრომელი ხალხისთვის. ასეთი ნაწილი გაზეთის აზრით მეტად მცირეა. მეორე კატეგორიის ჯგუფს შეადგენს ის ახალი, წითელი ვეჭილები, რომელნიც კურს დაასრულებენ უმაღლეს სასწავლებელში ამ მოკლე ხანში. მესამე ჯგუფში არიან მუშები პოლიტიკურად მომზადებულნი და გაწვრთნილნი, რომელნიც საქციალური კურსების გავლით გაეცნობიან სასამართლოს საქმეებს, პროცესების წესებს, და საბჭოთა კანონმდებლობას და დაიჭერენ ვეჭილების ადგილს.

ეს საკითხი მძიმე საკითხია. ერთი ხელის დაკვრით მისი გადაწყვეტა არ შეიძლება. ერთი ექვს გარეშეა—უნდა მოხდეს არსებული ვეჭილების შეცვლა. ეს ვეჭილები ხელს უშლიან მშრომელი სასამართლო მუშაობას, ისინი ფულის გულისთვის სინიღის ყიდიან და მტყუანს, რომელსაც სქელი აქვს გიბე, მჭერმეტყველურად იცავენ. ასეთი ვეჭილები ვერ მოთავსდება იქ, სადაც რევოლიუციის ცეცხლი სწმენდს ბურჟუაზიულ სიბინძურეს. ისინიც ამ ცეცხლის მსხვერპლი უნდა გახდნენ.

ახალ ძალებს, ახალ ვეჭილებს, წითელ ვეჭილებს უნდა დაეთმოს მათი ადგილი. მართალია დღესვე მუშები ვერ შესძლებენ ვეჭილობის მძიმე ტვირთის აწევას, ამას ცოდნა და გამოცდილება უნდა. და საკითხი არ უნდა გადა-

ადვილოთ, მაგრამ შეიძლება სისტემატიური მუშაობით წითელი ვეჭილების შექმნა. ჩვენ გვაქვს დღეს კანონები. ეს კანონები იცავენ პროლეტარიატს და გლეხობის ინტერესებს, ისინი არც ერთ მუხლში არ ლაღატობენ ამ მთავარ მიზანს. ჩვენ გვყავს ადმინისტრაცია. მრავალი წმენდის შემდეგ ისიც გამოჯანსაღებულია დაახლოებით. მასშიაც აღარ მოიპოება ძველი ტიპის ხალხი. ძველი „ხელობის“ ადამიანი. ჩვენ გვაქვს სასამართლო. იქაც მუშებია, აღარ არის გულჯ მავიდებთან ყველა მქვეყნების ჩხრალი. ესლა ჩვენ ერთი მუშუკი დავერჩა. ეს არის ვეჭილობა. ვეჭილობის საკითხსაც უნდა ეშველოს რაიმე. ფრაქციებით მორთული ხალხი, მართალია ლამაზად მოლაპარაკე და ტყუილის მოლაპარაკე ხალხი, შეურიგებელია მუშურ-გლეხურ წყობილები-სადმი და სიმართლით გაშიშვლებული არ გამოგვადგება რევოლუციონური სასამართლოსათვის.

ამ ფონტზედაც დაკვრა არის საჭირო, არც ერთი კუთხე არ უნდა დარჩეს აუღლებელი და მით უმეტეს ისეთი, სადაც დიდათ საჭირო საქმეებში არის გასაკეთებელი, სადაც სამართალს ეძიებს პროლეტარიტი.

ა. კ.—ძე.

### საუკრძლებო საკითხი.

საბჭოთა კავშირში ჩქარის ტემპით მიმდინარეობს სოციალისტური აღმშენებლობა. საძირკველი ყურება მომავალ კომუნისტურ საზოგადოებას და შრომის სუფევს. სახელმწიფოს განაგებს მუშათა კლასი და იმავე დროს წერა-კითხვის უკოდინარობა მრავლათ არის გავრცელებული. ეს ძალიან დიდი წინააღმდეგობაა ჩვენს სწავლებაში. საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა წერა-კითხვის უკოდინარობასთან ამხ. ლენინმა გადაისროლა ლოზუნგი: „ოქტომბრის მე-10-ე წლისთავისთვის არც ერთი წერა კითხვის უკოდინარი არ უნდა იყოსო“. ამას მოყვა მთელი რიგი ღონისძიებათა ამ საქმის მოსაგვარებლად. მაგრამ, რადგანაც სახელმწიფო ჯერ კიდევ სუსტია ფინანსიურად, შეუძლებელი ხდება საჭირო საშვალეებათა გაღება ფართოდ. ამიტომ მოსკოვში უკვე შემდგარა ცალკე საზოგადოება

„ძირს წერა-კითხვის უკოდინარობა“—ს სახელწოდებით. ამ საზოგადოებას მიზნათ დაუსახავს სიტყვით და საქმით ხელი შეუწყოს ოქტომბრის 10 წლის თავისათვის წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაციას. ამხ. კოდინინი თავის ცირკულიარულ წერილში სხვა და სხვა ორგანიზაციების მიმართ, ამის შესახებ სწერს: „ამ საზოგადოების მუშაობა მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი, როდესაც მთელი ქვეყანა მოიღინება ამ საზოგადოების იაჩიკების ქსელით, როდესაც მიეარდნო და შორიულ სოფლებში მიწვდება მისი ლოზუნგები. ჩვენ მიგმართავთ აღმასკომის თავმჯდომარეებს, სოფლის საბჭოებს, ურთიერთ-დახმარების კომიტეტების თავმჯდომარეებს, პროცესების წევრებს, წითელ არმიის მუშაკებს, მასწავლებლობას, კლუბების და სამკითხველოების გამაგებს, —ყველას, რომ მიიღონ თავიანთ თავზე ამ საზოგადოების იაჩიკების დაარსება ადგილებზე. მოაწყვეთ სალიკვიდაციო პუნქტები, გამონახეთ საშვალეებები, მოხილიზაცია უყავით წერა-კითხვის უკოდინარობის სასწავლებლად და სხვა.“

ამავე საკითხს ეხება გაზეთი „ნივესტია“ და წერა-კითხვის უკოდინარობის მოსპობის საკითხს აღიარებს რუსეთის პარტიის (sectra) საკითხად. „ეს არის არა მარტო პარტიის საკითხი, არამედ თვითშენახვისა. ეს იმავე დროს არის საკითხი საწარმოო, სამეურნეო, საკითხი ეკონომიისა. შეუძლებელია სოციალისტური საზოგადოების მოწყობა, თუ საწარმოო ძალები არაა განვითარებული. მაგრამ, რადგანაც მთავარი საწარმოო ძალა ადამიანია, აშკარაა, თუ რამდენად აფერხებს ჩვენს ქვეყანას წერა-კითხვის მასიური უკოდინარობა.“

ამ რიგად რუსეთში წერა-კითხვის უკოდინარობის მოსპობის საკითხი, „დამკვირვ“ ამოცანად არის აღიარებული.

საჭიროა ჩვენშიც დაარსდეს ასეთივე მიზნებით საზოგადოება და მოხდეს წერა-კითხვის უკოდინარობის სრული ლიკვიდაცია: ამ დიად საქმეში, ჩათრულ უნდა იქნას საბჭოთა საზოგადოების ფართო მასსა. წერა-კითხვის უკოდინარობა უსათუოდ უნდა მოსპოს. მისი მოსპობით მოსპობა სოციალისტური აღმშენებლობის უმთავრესი შემადგენლებელი მიზეზი. ეს უნდა გვახსოვდეს.

X.

## უცხოეთი

### ინგლისის მუშათა პარტია არჩენების წინ.

ყველა პარტიები ემზადებიან არჩევნებისათვის. ინგლისის მუშათა პარტიის ხელმძღვანელ მაკდონალმა საპროგრამო სიტყვა წარმოასტევა ოტელ ბელგრავიაში. ეს პროგრამა განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში არ არის იოტის ოდენა პოლიტიკური გამგებლობა. ამ პროგრამაში ვერ ნახავთ არაფერს დადებითს. ბევრია მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა, რომ ის ნამდვილ ზომებს არ მიმართავს უმუშევრო-

ბის წინააღმდეგო და სხვა., მაგრამ ამაში განათვით მუშათა პარტიას არ მიუძღვის ბრალი? მხოლოდ უკანასკნელ ხანებში მოიცალა ამ პარტიამ უმუშევრობის საკითხისათვის. არც ისე შორსაა ის დრო, როცა მუშათა პარტიის და ტრედუნიონების კონგრესმა უარი უთხრა „უმუშევრათა ნაციონალური მოძრაობის“ დელეგაციას მოსმენაზე, რადგანაც მას კომუნისტური ელემენტი ჰქონდა.

არა ერთხელ და ორხელ მიუმართავს კომპარტიის ცეკს მუშათა პარტიის ცეკისათვის, რომ ერთად მოეწყობთ უმუშევრათა საქმე, მაგ-

რამ რეალური შედეგი არ ყოფილა მიღწეული. იყო რამოდენიმე შემთხვევა გამოსვლისათვის, მაგრამ მუშათა პარტია ყოველთვის კმაყოფილდებოდა მხოლოდ პროტესტით და ყოველწინა რად გაუბრუნდა გამოსვლას. ამ პარტიის ლიდერები ცდილობენ მუდამ კონსტიტუციის ნიადაგზე დარჩენას. ისინი უფრო იცავენ კონსტიტუციონერ იდეებს, ვინემ კონსერვატორები. ამ პირობებში, განა რამეზე მაკონანდის შედეგო სხვანაირად ლაპარაკი, ვინემ ბალღუნო ლაპარაკობს?—რასაკვირველია არა.

გერმანიის პროლეტარიატი აწარმოებს ტრალიკულ, გააფრთხილებულ ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ; ინგლისის კომპარტიამ და აგრეთვე ზოგიერთი ოლქების მუშათა პარტიის ორგანიზაციებმა მოითხოვეს გამოსვლა გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ. მაგრამ მუშათა პარტიის ცეკამ ხელიც არ გაანძრია ამ მიმართულებით. რას მოითხოვენ მაკონანდლი?—ის მოითხოვენ „ინგლისის პოლიტიკის ფორმალურ დეკლარაციას, რომელიც სირცხელის მოკვრის ევროპის სხვა ნაწილებს“. არც მეტი, არც ნაკლები.

ეს უმოქმედობა ემჩნევა მუშათა პარტიას არა მარტო პოლიტიკურ მოძრაობაში, არამედ ეკონომიურ მოძრაობაშიაც. ტომასის, კლინის და ხოლგის პოლიტიკა იქითკენა მიმართული, რომ რეგორში აიცილონ კონფლიქტი წარმოების პატრონებთან. აქედან გამომდინარეობს ცდა, რომ ლაგამი ამოდონ პროფკავშირებს და არაეითარი მოთხოვნილება არ წამოაყენონ. სჯობს ხელფასის შეეცირება, ვინემ გაფიცვის გამოცხადება, და თუ მაინც გაფიცვამდე მივიდა საქმე, მაშინ მშვიდობიანი ჩარევა ამ გაფიცვაში, აი ასეთი იყო ტრედუნიონების პროგრამა უკანასკნელ წლებში.

ყველას ასსაკვს ის გრანდიოზული გაფიცვა მალაროვზე მომუშავეთა, რომლის 1921 წელში მოხდა და რომელიც დამთავრდა „1921 წლის ნაციონალური შეთანხმებით“. ეს შეთანხმება მძიმე ტვირთად დააწვა მუშებს: ამ შეთანხმების წყალობით მუშათა ხელფასი ყოველ თვე მცირდება. მდგომარეობა აუტანელი შეიქნა და მუშები მოითხოვენ ამ შეთანხმების გაუქმებას. შრომის „ნაციონალური ფედერაცია“ სულ იცავს ამ შეთანხმებას, ექსპორტის გაძლიერების მიმეზღებებას. ამით კი მოკლებული რჩებიან ისევ მწარმოებლები.

ამას ხედავენ მემლიარობები და დაჟინებით მოითხოვენ ამ „შეთანხმების“ ლიკვიდაციას. არჩენების წინ კრიტიკული მდგომარეობა ისახება. ალბათ ლიდერები ვერ შესძლებენ ამ შემთხვევაში მასის „შეკვებას“, როგორც ამას ისინი უწოდებენ.

პერსპექტივაში აგრეთვე არის რკინისგელთა გაფიცვა. იქაც ხელფასის შეეცირებას აქვს ადგილი. უკმაყოფილება მათში დიდია და ახლო მომავალში უნდა ველოდეთ ამ უკმაყოფილების ფეთქებას.

**პოლონეთი ჩეხო-სლავიაშია შესცვალა**

უკანასკნელ ხანებში პოლონეთმა საგარეო პოლიტიკის საკითხში დაიპირა პასიური პოზიცია. ეს იმიტომ, რომ თვით პოლონეთში შიგნით თანდათან ვითარება სამოქალაქო

ომი, გაფიცვების ტალღამ მეტად ფართო ხასიათი მიიღო, აგრეთვე პოლონეთმა ბურჟუაზიული ფაშისტური ევროპას გამოცდა ვერ ჩააბარა, ჩაიჭრა. ის ვერ გახდა ევროპის და რუსეთის შორის „ხიდათ“, ვერც „ჯებირად“ მათ შორის. ამიტომ მის მოადგილეთ გამოწახულ იქნა ჩეხო-სლავია, ამას წინეთ მასარიკმა იმგავრა პარიზში, ლონდონში და გაზეთების ცნობით დასთანხმდა იმაზე, რომ ჩეხო-სლავია იღვეს ჯანდარმერის როლს, რომელსაც წინეთ პოლონეთი ასრულებდა.

ხმები დადის იმის შესახებ, რომ მასარიკმა უარი სთქვა საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგოთ გამოვლავზე, რადგანაც ჩეხო-სლავიის ხალხის დაბალი ფენები არ დაუჭერენ მხარს ამ გამოსვლას. მაგრამ მან განაცხადა, რომ ყოველ წუთს მზათ იქნება საფრანგეთის ბრძანებით გერმანიას არტახი მოუქროს. ბენეშის ორგანი ამტკიცებს, რომ ჩეხია ბოლომდე მხარს დაუჭერს რურის ოკუპაციას. პუანკარეს აგრესიული პოლიტიკის დაგვირგვინება იქნებოდა, რასაკვირველია, საერთო სამხედრო შეთანხმება საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკიის და პოლონეთისა. მაგრამ ჩეხო-სლავიის და პოლონეთს შორის აღმოჩნდა მრავალი სადამსაკითხები, ამიტომ ეს საერთო შეთანხმება მოუხერხებელი შეიქნა. დემოკრატიულმა მასარიკმა, პირიქით, ნაცლად თავისი სამსახურისა საფრანგეთის იმპერიალიზმის წინაშე, მოითხოვა პუანკარესგან პოლონეთთან სადაო საკითხებში ჩეხო-სლოვაკიისათვის მხარის დაქერა. პუანკარემ იანგარიშა და ბოლოს ჩეხია არჩია. მან მიიღო მასარიკის პირობები. სამხედრო დახმარება უნდა გაუწიოს (საფრანგეთს) ჩეხო-სლოვაკიამ გერმანიის დანგრევაში, აგრეთვე მანვე უნდა განაშროოს ერთმანეთს გერმანია და საბჭოთა რუსეთი. ეს ამოცანები ჰქონდა წინეთ დაკისრებული პოლონეთს და ახლა ეს ამოცანები ჩეხო-სლოვაკიის დაეისრა. ამ „თავისუფალი“ რესპუბლიკის ოუბილენზე მეტად მზურვალე სიტყვებს ამბობდნენ „სოციალისტები“, და „დემოკრატები“. ისინი მზათ არიან მიესალმონ ყოველივეს მუშების ევროპის სხეულზე, რა გინდ არ უნდა ემუქრებოდეს ის ხალხებს ომით, ოღონდ კი დააჩქარონ საბჭოთა რუსეთის დაღუპვა.

ისინი იქნებ ვერც კი გრძობენ იმას, რომ ორმაგ გამცემლობას აწარმოებენ: ერთის მხრივ რუსეთის მიმართ და მეორეს მხრივ გერმანიის მიმართ, რომლის სტუმრათ მოყვარობით ფართოდ სარგებლობენ. ეს არის გამცემლობა კვადრატში.

**კვირიან-კვირამდე.**

ჩვენ კვლავ გერმანიის მდგომარეობაზე გვიხდება წერა. გერმანიაში მდგომარეობა დღით დღე რთულდება, აღარ არის შტრეზმანის კაბინეტი. ის დაეცა. მან ვერ შესძლო გერმანიის კატასტროფიული მდგომარეობის ოდნავ მაინც გამოსწორება. პირიქით, მის დროს ეს კატასტროფა უფრო გაღრმავდა. მან დაუნდობლად სისხლში ჩაახრჩო ყოველგვარი მოძრაობა მუშებისა. პამპურგის მემბოხენი გაეღიჭა, წითელი ტოურინგა და

საქსონია განადგურა. იმავე დროს ნიადაგი მოუშნადა ფაშისტის ფორმალურად გამოცხადებას. საესებით აუშვა და ხელი არ ახლო ბავარიაში და მთელ გერმანიაში მემარჯვენე რეაქციონერებს. ხოლო მუშათა კლასი და მისი პარტია, კომპარტია, აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა. მუშებს მოუსპო 8 საათის სამუშაო დღე. შტრეზმანის პოლიტიკის მეოხებით გერმანიაში დაიწყო მძლავრი სეპარატიული მოძრაობა. ბავარია თითქმის დამოუკიდებელ რესპუბლიკას წარმოადგენს, ხოლო რეინლანდმა ოფიციალურად გამოცხადა თავისი თავი დამოუკიდებლათ.

ერთი სიტყვით შტრეზმანმა, როგორც ჩვენ ამას მისი დანიშნვის დროს აღვნიშნავდით, სულ ვერ გაართვა თავი შექმნილ მძიმე მდგომარეობას, პირიქით, მის დროს კიდევ უფრო აირია და დაიწყო ქვეყნის სამეურნეო და ფინანსიური ცხოვრება. დაბოლოს თვით სოციალდემოკრატიაშიც ულაღტა მას და ის დაეცა.

ახალი კაბინეტის შედგენა ებერტმა მიანდო კუნოს კაბინეტის აღდგენის მინისტრ ალბერტს. ალბერტიც შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და დაიწყო პარტიებთან მოლაპარაკება და მთავრობის „ძებნა“, მაგრამ ტელეგრაფებმა ცნობა მოგვითანეს, რომ მან ვერაფერა შედეგს ვერ მიაღწია პარტიებთან მოლაპარაკების დროს. ის იძულებული შეიქნა მთავრობის შედგენაზე უარი ეთქვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვინმე უსათუოდ „მონახავს“ მთავრობას, მაგრამ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ვერც მომავალი მთავრობა იარსებებს გილდნანს. გერმანიის მდგომარეობა და ამბებების განვითარება მიიმართება რევოლუციისაკენ.

რა ნაირი დაუნდობელი ბრძოლა არ აწარმოვენ მუშათა პარტიასთან, სულ ერთია, დღეს თუ ხვალ ის უნდა გახდეს ქვეყნის ბატონპატრონი. სხვა გზა არ არის.

ამას მშვენივრად გრძობენ გერმანიის შავი ყორნები და მთელ თავის რისხვას კომპარტიისაკენ მიმართავენ. ამას წინედ ვენ. სექტმა კომპარტია „დაშლილად“ გამოაცხადა და მის წინააღმდეგ მიიღო გაუგონარი და არ ნახული რეპრესიები. ეს რეპრესიები გრძელდება:

25 ნოემბერს, ლიეპციეში რეისერგმა დაიკავა კომუნისტურ ორგანოს „ჩეკის“მე არბაიტერ ცეიტუნგის“ რედაქცია და სტამბა.

დრეზდენში, მიუხედავთ საქსონიის ლანდტაგის პრეზიდენტის პროტესტისა, სამხედრო ხელისუფლებამ მოახდინა ჩხრეკა დანტვავში და კონფისკაცია უყო კომუნისტურ ფრაქციის არქივს.

ბერლინში დაბეჭდეს კომპარტიის ცეკას, რაიკომების და ცალკე იაჩიეების ბინები. კონფისკაციით ჩამოართმეულია დიდძალი მასალა, მოხდა 40 მეტი განხრეკა პასუხისმგებელ პარტმუშაკების ბინებში.

„ფორვერტი“ განავრძობს უსიარცხო პრეოკაციას კომპარტიის წინააღმდეგ აღნიშნავს რა, რომ უკანასკნელ კვირაში კომპარტიას ჩამოართვეს 20,000 ვინტოვკა და აღმოჩენილ იქნა იარაღის საწყობები.

არ იციან საცოდავებმა, რომ რეპრესიები კიდევ უფრო გააძლიერებს მუშათა პარტიას

და მეტ ენერჯიას შემატებს ახალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მზადებაში. ეს ასეც მოხდება. ისტორიას არ ახსოვს რომ რევრესებით ვინმეს გაემარჯოს, ან ვინმე დამარცხებულიყოს საბოლოოდ

საინტერესოა, თუ როგორ შეზღვევენ საზოგადოებრივი წრეები და კლასები კომპარტიის „დაშლის“ ამბავს.

ბურჟუაზიული პრესა ისალმება გენერალ სექტის განკარგულებას კომპარტიის დაშლის შესახებ.

„ფოსთიშე ცაიტუნგ“-ი ხაზს უსვამს იმას, რომ თუმცა სექტის განკარგულება მოგვაგონებს ვილჰელმის ებოქას, მაგრამ კომპარტია ბრძოლას აწარმოებს სახელმწიფოს წინააღმდეგ, და ამიტომ ამ უქანასკნელს უფლება აქვს თავი დაიკვას კომპარტიისაგან.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი სექტის განკარგულებას მიზანშეწონილათ სთვლის, რადგან კომპარტიის არალეგალური მუშაობაზე გადასვლის შემდეგ, სოციალ-დემოკრატებს საშუალება აღარ ექნებათ ებრძოლონ კომუნისტურ პროპაგანდას.

„ფორვერტ“-ი სოც-დემოკრატის ორგანო ამართლებს სექტის მოქმედებას და აღნიშნავს, რომ აუცილებელი იყო ენერგიული ზომების მიღება, რადგან კომუნისტები ამზადებდნენ გადატრიალებას. გაზეთი სურვილს გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ კომპარტიის წინააღმდეგ მიღებული ზომები გატარებულ იქნეს ცხოვრებაში არა რეისსერის, არამედ სამოქალაქო დაწესებულებების საშუალებით.

ჩვენს ჟურნალში ამას წინეთ იყო წერილი იმის შესახებ, თუ რა დიდ მუშაობას ეწევა საფრანგეთის კომპარტია გერმანიის რევოლუციის სასარგებლოდ. იმ წერილში აღნიშნული იყო, რომ კომპარტია დიდ მუშაობას ეწევა აგრეთვე საოკუპაციო ჯარში და საფრანგეთი იძულებული შეიქნა რამოდენიმე პოლკი უქან გაეწვიათქო. ამ უამად ტელეგრაფებმა შემდეგი ამბავი მოგვითანეს:

რუის ოლქში მოხდა საფრანგეთის 148 და 154 ქვეითა პოლკის ჯარისკაცთა აჯანყება. ჯარისკაცები განიარაღებული იქნენ. ბორკილებ გაყრილი მეამბოხენი საფრანგეთში გაიყვანეს. საფრანგეთის სარდლობა აჯანყებას სწის გერმანიის და საფრანგეთის კომუნისტურ პარტიების პროპაგანდით.

საფრანგეთის არმიის გამხრწნელ კომუნისტურ პროპაგანდის გამო საფრანგეთის ხელისუფლებამ დორტმუნდში, ლუისბურგში, ბოხუმში და ვორმსში 80 კომუნისტი დააპატიმრა.

საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა გაჟინომ საოკუპაციო ოლქებში მგზავრობის დროს განაცხადა, რომ კომუნისტური პროპაგანდა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საფრანგეთის არმიისათვის.

აშკარაა, რომ ეს აჯანყება კომპარტიის საქმეა. ის ღირსეულად ექომაგება გერმანიის მუშათა კლასს და მზათ არის ყოველგვარი დახმარება გაუწიოს თავის მოქმეს, თუ ის გადამწყვეტი ბრძოლაში ჩაებმება.

ამ უამად დიდ ყურადღებას იპყრობს ინგლისის საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც ახალი კამინეტის შედგენა მოყვება უთუოდ. საინტერესოა, როგორც ის თუ ვინ გაიმარჯვებს ამ

არჩევნებში, აგრეთვე ისიც, თუ როგორი იქნება ინგლისის ახალი მთავრობის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

ინგლისის წარმომადგენელმა კომინტერნის აღმასკომში სტიუარტმა „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბარში აღნიშნა, რომ არჩევნების დაჩქარება ინგლისში გამოწვეულია უთანხმოებით, რომელიც დაიბადა კონსერვატიულ პარტიაში პროტექციონულ ბაიების საკითხის გარშემო და მთავრობის კრიტიკულ მდგომარეობით, რომელიც გამოწვეულია მასების უკმაყოფილებით და უმუშევრობის ზრდით. არჩევნებზე, როგორც სჩანს, გაიმარჯვებენ კონსერვატორები, მაგრამ ასკვიტის და ლიბერალ-ჯორჯის გაერთიანებული ლიბერალური ჯგუფები ძლიერ ოპოზიციას შექმნიან პარლამენტში.

შესაძლებელია, მუშათა პარტიამ ლიბერალების შემარცხნენ ფრთასთან თინამშრომლოს, რადგან მას არ აქვს საარჩევნო კამპანიისათვის საჭირო ნივთიერი საშუალებები, რომლებიც შეუძლია ლიბერალებისაგან მიიღოს. არც ერთ პარტიას არ ექნება პარლამენტში აბსოლუტური უპირატესობა, რაც ნიშნავს შექმნის კონფლიქტებისათვის. შეიძლება მუშათა პარტიას წილათ ხედეს ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის წინასწორობის დამცველის როლი. კომპარტიამ წამოაყენა ნიუბოლდის, გალახერის და ელენ გილკენსენის კანდიდატურა. შესაძლებელია, რომ კომუნისტებმა ორი დეპუტატი გაიყვანონ. ახალი მთავრობა ალბათ წმინდა კონსერვატიული იქნება, თუმცა მოსალოდნელია, აგრეთვე; კონსერვატორებისა და ლიბერალების კოალიციის შექმნა. ყოველ შემთხვევაში მიზეზებით, რომ ინგლიში უომას მიიღებენ კონსერვატიულ მთავრობის ჩამოსაგდებათ.

ახალი მთავრობის პოლიტიკა რუსეთის მიმართ, ლიბერალებისა და აგრეთვე მუშათა პარტიის ძლიერ გავლენის გამო, სტიუარტის აზრით, უფრო ლიბერალი იქნება. საგარეო პოლიტიკა უცვლელი დარჩება, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ინგლისი შეეცდება დაუახლოვდეს ამერიკის საფრანგეთის წინააღმდეგ საერთო ფრონტის შექმნის მიზნით. მუშათა პარტიის მდგომარეობა უთუოდ გაუარესდება, რადგან მასები არ აპატიებენ მას ბურჟუაზიულ ლიბერალურ პარტიისადმი კომპრომისს.

დიდი ამბები ხდება აგრეთვე პოლონეთში. პოლონეთის ეკონომიური მდგომარეობის ძირბუდიანათ შერყევამ შეარყია პოლონეთის კაბინეტიც. ეიკრობენ, რომ მთავრობის კრიზისი აუცილებელიაო. იმავე დროს პოლონეთის განაბირა კუთხებში სწარმოებს აჯანყებები. საქმე აწვილ-დაწვილია, შეიძლება ესეც იყოს იმის მიზეზი, რომ პუანკარემ პოლონეთის ფუნქციები ჩეხო-სლოვაკიას გადასცა და მას დაავალა იმპერიალისტური საფრანგეთის მიზნების ცხოვრებაში გატარება.

გასულ კვირას ერთ საყურადღებო მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ აღმოაჩინა კიევი კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაცია, რომელსაც სახელად ეწოდებოდა „მოქმედების კიევის საოლქო ცენტრი“. ეს იყო პარიზის ჯაშუშთა ცენტრის განყოფილება,

რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩარკოვსკი და კარტაშევი. დაპატიმრებულია ორგანიზაციის ყველა წევრები.

დაპატიმრებულია ჩვენება აშკარაავენს პარიზის ცენტრის საიდუმლო განზრახვებს, ფარდასხდის აფარებელ მტაცებლობას; ირკვევა, რომ პარიზის ცენტრს კავშირი ჰქონდა შერაზმულ ორგანიზაციებთან, ცენტრი ეწეოდა ჯაშუშობას ეცერებთან ერთად, რომლებიც შეუთანხმდნენ ცენტრს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეერთებულ ბრძოლაში. კიევის ორგანიზაციამ მიზნათ დაისაბა საბჭოთა ხელისუფლების დამბობა, კავშირი დიჭირა უსსრეთის ჯაშუშთა ორგანიზაციებთან და დაიწყო აქტიური მოქმედება თავისი გვეგმების ვანსაბოციებლებად. გამომიების დროს მონაწილეების უმრავლესობა გამოიყვდა და აღიარა ყველაფერი; უმრავლესობამ აღიარა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის უნიადავობა და შეუძლებლობა. კიევის ცენტრი ყოველივე ძალღონით ცდილობდა დაესუსტებია საბჭოთა აპარატი შეგნდინად. გამომიებიდან გამოიჩიკვა, აგრედვე, პოლიტიკური კომბინაციები პარიზის ცენტრის, რომელიც მიზნათ ისახავდა ახალ ინტერვენციას. კიევის ორგანიზაცია, საარგებლობდა რა რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ ლოზუნგით, ფაქტიურათ ეწეოდა ჯაშუშობას. კიევის სამხედრო ოლქის შტაბიდან გატაცებულ იქნა და გადაეცა უცხოეთის ერთ ერთ სახელმწიფოს სამობილიზაციო დოკუმენტები, რომლებიდანაც აშკარადვება რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოება. თავის საშუალებების გასაძლიერებლად ორგანიზაცია აწარმოებდა ყოველგვარ კომბინაციებს, რითაც იძინდა დიდძალ ფულს. კიევის მენშევიკები და ეცერები ენმარბოდნენ ორგანიზაციას კონტრ-რევოლუციონური ფურნალის „ნოვ“ის გავრცელებაში.

ახლო მომავალში ეს საქმე გაიჩრევა სასამართლოში ღია სხდომებზე.

## მ ს თ ნ ი კ ა

◆ **დაპატიმრებულ მენშევიკთა შორის ვარდატება** თან და თან ძლიერდება. ჩვენ მოგვემხრო საქართველოს ყოფილი პროფსავშირთა თავმჯდომარის აზნანავები: ე. გიორგაძე და ს. ლობოჯიჯინაძე, რომელთა ვანცხადება დღეს იბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

◆ **საბჭოთა არჩევნები უკვე დაიწყო** და კიდევ დამთავრდა ზოგიერთ მაზრებში. თფილისში საბჭოთა არჩევნები ამ დღებში მოხდება.

### სხვა და სხვა ამბები.

◆ **ალბერტმა** ვერ მოახერხა მთავრობის შედგენა, რადგანაც ვერ მიაღწია პარტიებთან შეთანხმებას. მან უარა სთქვა მთავრობის შედგენაზე.

◆ **ებერტის** შესახებ გაზეტები აღნიშნავენ, რომ მოსალოდნელია მისი გადადგომაო.

◆ **კომპარტიის** დევნამ გერმანიაში სახლპრო ხასიათი მიიღო. კომპარტიის „დაშლილად“ გამოცხადების შემდეგ პარტიის წინამდევ მიღებულია უსასტიკესი რეპრესიული ზომები.

➤ **ბერლინი**ში მოხდა არეულობა, რომელიც პოლიციამ ჩააჭრო. ამ ხიადგზე დააპატიმრეს 77 კომუნისტი.

➤ **შტეტგერვალდ** პრუსიის ყოფილ პრემიერ ებერტმა დაავალა ახალი მთავრობის შედგენა. ვაზეთების აზრით, ახალი კაბინეტი შესდგება პურკუზაული კოალიციისა და ნაონაალისტებისგან.

➤ **ბერლინი**ში მოხდა მუშების დიდი დემონსტრაცია კომპარტიის დენის და სამხედრო დიქტატორის საპროტესტო. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 60 ათასმა კაცმა.

➤ **მენარჯვენე** და მენარჯვენე სოც.-დემოკრატთა შორის გერმანიაში დიდი განხეთქილება.

➤ **მცირე ანტანტის** მომავალ კონფერენციაზე ბელგრადში განიხილეს იქმნება სამჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხი.

➤ **კიევი**ში მთავრობამ აღმოაჩინა კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა სამჭოთა ხელისუფლების დამხრებას.

➤ **რურის** ოლქში მოხდა საოკუპაციო ჯარის ნაწილების აჯანყება. ამის გამო დააპატიმრეს მრავალი კომუნისტი.

➤ **24 ნოემბერს** შესრულდა 3 წლის თავი სომხეთის გასამჭოების დღიდან. ადგილობრივმა პრესამ სპეციალური წერილები უძღვნა ამ საკითხს.

➤ **ერევანში** უკვე დასრულდა დაწინაურების კონფერენცია. მათ პარტია დაწლილად გამოაცხადეს.

**წერილები რედაქციის მიმართ.**

ამს. რედაქტორი!

თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში, როდესაც ბოლშევიკებმა (ახლა კომუნისტურმა პარტიამ) წამოაყენა პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობა, სოციალ-დემოკრატულმა პარტიამ სასტიკათ გაილაშქრა ამის წინააღმდეგ იმის შიშით, რომ რუსეთის მცირე რიცხოვანი, (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) ჯერ კიდევ საქმიად განუვითარებელი პროლეტარიატი ვერ შესძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას, სახელმწიფო დანერგულ მეურნეობის აღდგენა-განვითარებას და ის იძულებული იქნება რამოდენიმე თვეების, ან უკეთეს შემთხვევაში წლის განმავლობაში, დაუთმოს ძალა-უფლება საშინელ რეაქციას, რომელიც თითქმის აუცილებლათ მოყვებოდა სამოქალაქო ომს შედგავათ. მიუხედავად ამისა სამჭოთა რუსეთმა უკვე 6 წლის არსებობა იძღვრისწააფულა, ნაწილობრივ მეურნეობის და მრეწველობის აღდგენაც შესძლო. სოც.-დემ. პარტია იზიარებდა კლასთა თანამშრომლობას—დემოკრატიული გზით სოციალიზმის დამყარებას, რომლის მაჩვენებელი მაგალითი საქართველოს და გერმანიის რესპუბლიკებია. აქ დაუპირდაპირად ერთი მეორეს კომუნისტურ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიების მეთოდებით, არას ვიტყვით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, რადგან მას სავსებით არ დისცალდა თავის მეთოდების განხორციელება და ჩვენი აზრით შეუძლებელია იმის თქმა, რას მიაღწევდა ყველასაგან განკერძოებულ პატარა საქართველო. მაგრამ გერმანიის მაგალითზე კი დღეს აშკარა უნდა იყოს, რაც გამოიწვევდა მსოფლიო რეაქციის გაძლიერებას და რევოლუციის რამოდენიმე ათეულ წლებით გადადებას. აი აქ იყო სწორეთ საქონი გაბედული ნაბიჯები გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მხრით კომპარტიასთან შეთანხმების მუშაობისათვის, აქ იყო საქონი აგრეთვე გაბედული ნაბიჯები მეორე ინტერნაციონალის და ამსტერდამის პროფინტერნისა, რომელთაც სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაეწია მოკავშირეებისათვის, საყვედურთა და ფიცებით და სხვ. რურის ოქუპაციის საწინააღმდეგოთ, მაგრამ ნაცვლათ ამისა, ხსენებული ინტერნაციონალები კმაყოფილდება მხოლოდ მშრალი საპროტესტო რეზოლუციით-რომელიც არაფის არაფერს ეუბნება და არაფერს აეალებს. აქედან ჩვენ ის დასკვნა გამოგვეყვას, რომ გარეშე პროლეტარიატის დიქტატურისა არ არის იმედი რევოლუციის გამარჯვებისა, თვით ბურჟუაზია გადმოდის შეტევაზე დემოკრატიულ წესწყობილების ფორმის წინააღმდეგ, რომლის საუკეთესო მაგალითია იგივე გერმანია, ბულგარეთი, იტალია და იაპონია, ამიტომ ვდგებით რა სამჭოთა პლატფორმის ნიადაგზე, სავსებით ვიზიარებთ საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობის რეზოლუციებს და დადგენილებებს, გამოვდივართ სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან და ვსწყვეტთ ყოველივე კავშირს არალეგალურ ორგანიზაციებთან. ამ გზისკენ მოუწოდებთ ყველა ჩვენს დარჩენილ ამხანაგებს.

ბული პატარა საქართველო. მაგრამ გერმანიის მაგალითზე კი დღეს აშკარა უნდა იყოს ყველასათვის, რომ სოციალ-დემოკრატიის მეთოდები დამარცხდა. მართალია გერმანიის მოკავშირეების მიერ ჩაყენებულია საშინელ მდგომარეობაში და ეს არი ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი მისი კატასტროფიული მდგომარეობისა, მაგრამ რომ კლასთა თანამშრომლობის პრინციპის განხორციელება შესაძლებელი ყოფილიყო და შეძლებულ კლასებს გავლთ საქონი და მათთვის შესაძლებელი მსხვერპლი; გერმანია აუცილებლათ იხსნიდა თავს კატასტროფიულ მდგომარეობისაგან, მაგრამ შეძლებული კლასები მხოლოდ მუშებისაკენ იშვერს ხელს და მის ცარიელ კუქს აკისრებს რუბრაკიების გადახდას და ფიქრობს ქვეყნის გაქირავებულ მდგომარეობიდან გამოყვანას სამუშაო დღის გადიდების და მუშა-მოსამსახურეთა შტატების შემცირების საშვალებით. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის უმოქმედობამ და გაუბედვაობამ მეორე მხრით გააძლიერა მემარჯვენეთა და ფაშისტური პარტიები, რასაც აუცილებლათ უნდა მოყვეს მონარქიული რეჟიმის აღდგენა, რაც აუცილებლათ საფრთხეს უმზადებს რუსეთის რევოლუციასაც და ამ უკანასკნელის დამარცხება კი ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რაც გამოიწვევდა მსოფლიო რეაქციის გაძლიერებას და რევოლუციის რამოდენიმე ათეულ წლებით გადადებას. აი აქ იყო სწორეთ საქონი გაბედული ნაბიჯები გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მხრით კომპარტიასთან შეთანხმების მუშაობისათვის, აქ იყო საქონი აგრეთვე გაბედული ნაბიჯები მეორე ინტერნაციონალის და ამსტერდამის პროფინტერნისა, რომელთაც სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაეწია მოკავშირეებისათვის, საყვედურთა და ფიცებით და სხვ. რურის ოქუპაციის საწინააღმდეგოთ, მაგრამ ნაცვლათ ამისა, ხსენებული ინტერნაციონალები კმაყოფილდება მხოლოდ მშრალი საპროტესტო რეზოლუციით-რომელიც არაფის არაფერს ეუბნება და არაფერს აეალებს. აქედან ჩვენ ის დასკვნა გამოგვეყვას, რომ გარეშე პროლეტარიატის დიქტატურისა არ არის იმედი რევოლუციის გამარჯვებისა, თვით ბურჟუაზია გადმოდის შეტევაზე დემოკრატიულ წესწყობილების ფორმის წინააღმდეგ, რომლის საუკეთესო მაგალითია იგივე გერმანია, ბულგარეთი, იტალია და იაპონია, ამიტომ ვდგებით რა სამჭოთა პლატფორმის ნიადაგზე, სავსებით ვიზიარებთ საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობის რეზოლუციებს და დადგენილებებს, გამოვდივართ სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან და ვსწყვეტთ ყოველივე კავშირს არალეგალურ ორგანიზაციებთან. ამ გზისკენ მოუწოდებთ ყველა ჩვენს დარჩენილ ამხანაგებს.

ტფილისის ყოფილი პროკავშირების თავმჯდომარის ამხანაგები:

- ი. გიორგაძე.
- ს. დობორჯგინიძე.

პარტ. სტატი 1904 წ.

სადავო არ არის ის რომ დღევანდელი თავგანწირული ბრძოლა შრომისა და კაპიტალის შორის მოითხოვს ყველა განზე გამდგარ ამხანაგებისაგან საკითხის ღრმად ჩაყვარებას. თუ ჩვენ ერთი წუთითაც თავს შევიწუხებთ და გადავხედავთ თუ რა ხდება დღეს გერმანიაში და სხვა ქვეყნებში, თუ როგორი თავგამოდებით იბრძვის მუშათა კლასი—მივალთ იმ დასკვნამდე, რომ საქონი მთელ მსოფლიოში მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნა, რომ შეერთებული ძალით ერთხელ და სამუდამოდ იქნას მოსპობილი რეაქციის საფრთხე, რომელიც გვევლინება ფაშისტის სახით, საფრთხე რომელიც უქდება რუსეთის რევოლუციის და საერთოდ მსოფლიო პროლეტარიატს. სისხლის მორევში ჩახრჩობას. ისტორიამ სწორედ დღეს მწვავედ დააყენა საკითხი ან პროლეტარიატის დიქტატურის გზა—გზა რევოლუციონური ან გზა ბურჟუაზიული—რეაქციონური. ვინც დღეს უარს ამბობს პროლეტარიატის დიქტატურის გზით სვლაზე, ის პროლეტარიატის მტრების მხარეზე დგება და ამრავლებს ბურჟუაზიის რიცგებს.

ამიტომ მე ვამბობ, საქონი დღეს ყველა ცოცხალი ძალების გაერთიანება და ბრძოლაში ჩაბმა მუშათა კლასის დამარცხება—მასთან დაახლოება და არა განზე დგომა და შორიდან ცქერა.

მეც ერთი ყოფილი წევრი-ს. ს. დ. მ. პარტიისა, ვითვალისწინებ რა ყველა ზემო მოყვანილს, სრულიად შეგნებულად და გულწრფელად ვიზიარებ ყოფილ მენშევიკთა ყრილობის დადგენილებებს და ჩემი ღრმა რწმენით ვდგები მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ლადო ჩხაიძე.

გთხოვთ მომითავსოთ შემდეგი ჩემი განცხადება.

მე ვითვლებოდი მენშევიკური პარტიის წევრად 1919 წლიდან. დღიდან საქართველოს გასამჭოებისა ამ პარტიას თავი დავანებე და არავითარი კავშირი მენშევიკებთან არ მქონია. რადგანაც მიყრუებულ სოფელში ვცხოვრობდი, ს—დ. მ. პ. ყრილობის შესახებ ვერაფერი ვერ გავიგე. დღეს კი ამხანაგებმა მიამბეს თუ რა მოხდარა. მე სრულიად ვიზიარებ მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ვსდგები კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ, და პირობას ვაძლევ მუშათა კლასს ჩემი ძალ-ლონე მას მოვასხარო.

იოსებ ბერიშვილი.

**სარედაქციო კოლეგია:**

- ა. ფარნიევი.
- ა. რუხაძე.
- კ. თოფაძე.
- ქ. შენგელია.
- გ. ვარდოიანი.